ქუთაისი

ჩვენი ქალაქის ალბომი



2026

ტური მომზადდა სერიის “როგორ იქმნებოდა საქართველო” ფარგლებში.

პროექტის მიზანია, მოგვითხროს თბილისის მდიდარ ეთნიკურ და რელიგიურ მრავალფეროვნებაზე. ასევე, წარმოაჩინოს იმ უმცირესობების წვლილი, რომლებმაც საუკუნეების განმავლობაში შექმნეს საქართველოს
საერთო ისტორია
და კულტურული
მემკვიდრეობა.

2026

ტურის შესავალი

ქუთაისის ისტორია

ქუთაისი ერთ-ერთი უძველესი ისტორიული ქალაქია საქართველოში, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქართული იდენტობის, კულტურისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა. იგი ხშირად მოიხსენიება, როგორც „ყველაზე ქართული ქალაქი“, სადაც ტრადიციები, ენა და სული განსაკუთრებულად მკაფიოდ იგრძნობა. ქუთაისი მრავალფეროვანი და გახსნილი ქალაქია, რომლის განვითარებაშიც მნიშვნელოვანი წვლილი ეთნიკურმა და რელიგიურმა უმცირესობებმა შეიტანეს. სხვადასხვა ეპოქაში აქ, ქართველებთან ერთად, თანაცხოვრობდნენ ებრაელები, სომხები, ბერძნები და სხვა ხალხები, რომლებიც ქალაქის ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობდნენ.

ქუთაისი, თავისი მდებარეობით, ანტიკურ და შუა საუკუნეების პერიოდში, ერთის მხრივ, დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა მხარის ცენტრს წარმოადგენდა და, მეორეს მხრივ, მდინარე რიონის სანაოსნო გზით გადიოდა შავ ზღვაზე და, შესაბამისად, უკავშირდებოდა გარე სამყაროს. ასეთი მდებარეობა ქალაქს საშუალებას აძლევდა განევითარებია ვაჭრობა და ქცეულიყო კულტურათა თავშეყრის ადგილად. აქ რომ თავს იყრიდა სხვადასხვა ცივილიზაცია, ამაზე არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ არტეფაქტებთან ერთად ბერძენი და რომაელი მოღვაწეების საარქივო მასალებიც მეტყველებენ. მთელი ისტორიის მანძილზე ქუთაისი იყო დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მთავარი ქალაქი. ძვ.წ VI ს-დან ის არის კოლხეთის სამეფოს დედაქალაქი და აქ ხდება კოლხური თეთრის მოჭრა, რაც უმნიშვნელოვანესი მოვლენაა და მიანიშნებს ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე.

ქუთაისის დაარსება ძვ. წ. II ათასწლეულს უკავშირდება. არქეოლოგიური აღმოჩენები აჩვენებს, რომ ამ ტერიტორიაზე უკვე არსებობდა დასახლება ბრინჯაოს ხანაში. ქალაქი განსაკუთრებით ცნობილია, როგორც კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი მთავარი ცენტრი. სწორედ კოლხეთს უკავშირდება ბერძნული მითოლოგიის ცნობილი ამბავი არგონავტების შესახებ და ოქროს საწმისის ლეგენდა. არგონავტების მითი პირდაპირ უკავშირდება ქუთაისს, რადგან ძველი ბერძნული მითოლოგიის მიხედვით კოლხეთის სამეფო, სადაც ეს ისტორია ვითარდება, სწორედ დღევანდელი ქუთაისის ტერიტორიასთან ასოცირდება. ამ მითის მთავარი გმირი იასონი თავის თანამგზავრებთან ერთად მიემგზავრება კოლხეთში, რათა მოიპოვოს ოქროს საწმისი — ძალისა და სიმდიდრის სიმბოლო. კოლხეთის მეფე იყო აიეტი, რომლის სამეფოს ცენტრად მიიჩნევა ქალაქი აია და, ისტორიკოსების აზრით, ის სწორედ ქუთაისის ადგილას მდებარეობდა.

მითის მიხედვით, ოქროს საწმისი განსაკუთრებულად დაცული იყო და მის მოსაპოვებლად იასონს რთული გამოცდების ჩაბარება მოუწია. ამ პროცესში მას დაეხმარა მეფის ქალიშვილი მედეა და იასონმა შეძლო საწმისის მოპოვება და თავის სამშობლოში დაბრუნება. ქუთაის-თან ამ მითის კავშირი იმითაც აიხსნება, რომ ეს რეგიონი, განსაკუთრებით რიონის ხეობა (ძველი ფაზისი), ანტიკურ პერიოდში მნიშვნელოვანი სავაჭრო და კულტურული ცენტრი იყო. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ოქროს საწმისის ლეგენდა რეალურ ამბავს ეფუძნება: კოლხეთში ოქროს მოპოვებისას იყენებდნენ ცხვრის ტყავს, რომელსაც მდინარეში აფენდნენ და ის ოქროს ნაწილაკებს იჭერდა. ეს მეთოდი შესაძლოა გამხდარიყო მითის საფუძველი. არგონავტების მითი არა მხოლოდ ლეგენდარული ამბავია, არამედ აჩვენებს, რომ ქუთაისი ანტიკურ სამყაროში ცნობილი, მდიდარი და მნიშვნელოვანი ადგილი იყო.

ქუთაისი ახალ წელთაღრიცხვაშიც ინარჩუნებს მის პოზიციებს და ის ლაზიკის სამეფოს მთავარ ქალაქად გვევლინება. ეს, თავის მხრივ, განპირობებული იყო იმითაც, რომ მასზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები.

VIII ს-ის ბოლოს დას. საქართველოს ტერიტორიაზე აფხაზეთის სამეფო ჩამოყალიბდა. ის შავი ზღვის სანაპიროდან ლიხის ქედამდე ვრცელდებოდა, ჩრდილოეთით ნიკოფსიამდე, ხოლო სამხრეთით ჭოროხის ხეობამდე. აფხაზეთის მთავარი, ისევე როგორც ეგრისის მმართველი, ბიზანტიის ხელქვეითი იყო, მაგრამ VIII ს-ის ბოლოს ბიზანტია დასუსტდა. აფხაზეთის სამთავროს გაძლიერებაში აქტიური წვლილი მიუძღვის ლეონ II-ს. მან ისარგებლა ბიზანტიაში ატეხილი რელიგიური ომით (ხატმებრძოლეობა), დაიხმარა სიმამრი ხაზართა ხაკანი და აფხაზეთის სამთავრო გაათავისუფლა ბიზანტიელთა ბატონობისაგან. მას შემდეგ, რაც არჩილი და მისი შვილები, რომლებსაც ბიზანტიის იმპერატორისგან ჰქონდათ მიღებული მეფობა და სამეფო ნიშნები, უმემკვიდრეოდ გარდაიცვალნენ, ლეონ II-მ შეიერთა ეგრისი და თავი აფხაზთა მეფედ გამოაცხადა, ხოლო სამეფო ქალაქი ციხეგოჯიდან ქუთაისში გადმოიტანა. იწყება ბრძოლა ერთიანი ქართული სამეფოს შექმნისათვის. ამ ბრძოლის ერთ-ერთი მოთავეა შიდა ქართლის ერისთავი იოანე მარუშისძე თავისი თანამოაზრეებით. საქართველოს გაერთიანებით დაინტერესებულ სახელმწიფო მოღვაწეთა ყურადღებას იქცევს მცირეწლოვანი ბაგრატ III-ის პიროვნება, რადგან იგი სამი სამეფოს მემკვიდრედ ითვლებოდა.

978 წელს, ბაგრატი დასავლეთ საქართველოს დიდაზნაურთა ნაწილის თხოვნით, იოანე მარუშისძის ხელშეწყობითა და დავით III კურაპალატის დასტურით ქუთაისის ტახტს იკავებს. 1008 წელს, გურგენ მეფეთ-მეფის გარდაცვალების შემდეგ, ბაგრატ III-მ, როგორც მემკვიდრემ, შემოიერთა ტაოს ჩრდილოეთი ნაწილი (ამიერტაო), შავშეთი, კლარჯეთი, სამცხე და ჯავახეთი. ბაგრატ III-მ პირველმა მიიღო „აფხაზთა და ქართველთა მეფის“ ტიტული. ამის შემდეგ ჯერი კახეთსა და ჰერეთზე მიდგა. ორი წლის განმავლობაში ბაგრატმა ყველა ციხე ხელთ იგდო, ხოლო ბოჭორმის ციხეში „წლითი წლამდის“ მომწყვდეული კვირიკე იძულებული გახდა ბაგრატს დამორჩილებოდა. 1010 წელს ბაგრატმა კახეთ-ჰერეთის შემოერთება დაასრულა. ასე დასრულდა ფეოდალური საქართველოს გაერთიანების ძირითადი ეტაპი.

ბაგრატ III-ის მეფობის პერიოდში ქართული კულტურა განვითარების მწვერვალს აღწევს. აიგო მრავალი არქიტექტურული შედევრი, მათგან აღსანიშნავია ბაგრატის ტაძარი ქუთაისში, რომლის მშენებლობაც 1003 წელს დასრულდა. მისი კურთხევა იმ ეპოქის მნიშვნელოვან მოვლენად იქცა. მეფემ წარჩინებული სტუმრები საზღვარგარეთიდანაც მოიწვია. ბაგრატის ტაძარი საქართველოს ერთიანობის სიმბოლო გახდა. ასევე, ამ დროს აიგო ნიკორწმინდის ტაძარი და ბედიის მონასტერი, რომელშიც დაკრძალულია მეფე. ის აქ 1014 წელს ფანასკერტის ციხეში გარდაცვალების შემდეგ გადაასვენეს.

ბაგრატ III-ის მეფობის ხანიდან დავით აღმაშენებლამდე ქუთაისი წარმოადგენდა ერთიანი საქართველოს სატახტო ქალაქს. 1122 წელს დავით IV-მ გაანთავისუფლა თბილისი და დედაქალაქი ქუთაისიდან თბილისში გადაიტანა. თუმცა, ქუთაისს ამით არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ის განვითარებულ და გვიან შუა საუკუნეებშიც ინარჩუნებს მნიშვნელოვანი ქალაქის სტატუსს საგანმანათლებლო-კულტურული თვალსაზრისით. ქუთაისთან დაარსებულ გელათის მონასტერში გაიხსნა აკადემია, რომლის ხელმძღვანელი იყო იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი. ეს უკანასკნელი შემდეგ იყალთოს აკადემიას ხელმძღვანელობდა. აქ ასწავლიდნენ გეომეტრიას, არითმეტიკას, მუსიკას, ფილოსოფიას, რიტორიკას, ასტრონომიას.

XI საუკუნიდან იწყება საქართველოში ოქროს ხანა და კულტურული აღმავლობა, მაგრამ 1235 წელს საქართველო მონღოლებმა დაიპყრეს, მათმა შემოსვლამ ქვეყანაში და 100 წლიანმა ბატონობამ დაასრულა ოქროს ხანა, ხოლო ქვეყანა უმძიმეს კრიზისში ჩააგდო.

გვიანი ფეოდალური ხანის ქუთაისი

იმერეთის სამეფო

იმერეთის სამეფო - ქართული ფეოდალური სახელმწიფო XV–XIX საუკუნეებში, რომელიც წარმოიქმნა საქართველოს ფეოდალური მონარქიის პოლიტიკური დაშლის შედეგად. ეს პროცესი საქართველოში მონღოლთა ბატონობის დამყარებიდან, XIII საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო და XV საუკუნის II ნახევარში დასრულდა, როცა 1490 წელს საქართველოს დაშლა იურიდიულად გაფორმდა.

იმერეთის სამეფოს უმაღლესი საეკლესიო ხელისუფალი დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იყო, რომელიც ხშირად „ჩრდილოსა და აფხაზეთის“ ან „აფხაზ-იმერთა“ ან კიდევ „პონტო ჩრდილოით აფხაზ-იმერთა და ყოვლისა ქვემოისა ივერიისა კათალიკოსად“ იწოდებოდა. მისი რეზიდენცია XVI საუკუნის II ნახევარში ბიჭვინთაში იყო, ხოლო შემდეგ გელათში.

1555 წელს სპარსეთსა და ოსმალეთს შორის დადებული ამასიის ზავით იმერეთის სამეფო ოსმალეთს ერგო. ამას თან დაერთო გამწვავებული გარე და შიდა ომები და სამეფო დაკნინების გზას დაადგა.

იმერეთის სამეფოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა სოლომონ I-ის მეფობის დროს (1752- 1784 წწ.). სოლომონ I ენერგიულად ებრძოდა ოსმალეთის აგრესიას, ხოლო ქვეყნის შიგნით ფეოდალურ რეაქციას. მან გაატარა სამხედრო რეფორმა და ჩამოაყალიბა მცირე, მაგრამ თავდადებული ლაშქარი, რომელიც 1757 წლის 14 დეკემბერს ხრესილის ბრძოლაში დაუპირისპირდა 50 000-იან ოსმალთა არმიას, რომელთა რიგებშიც იბრძოდა 10 000 მოღალატე ქართველი, მათ შორის, რაჭის ერისთავი როსტომი და სოლომონის ბაბუა ლევან აბაშიძე. სოლომონმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა და იმერეთის სამეფო იხსნა. ხრესილის ბრძოლის შემდეგ სოლომონ I-მა ქვეყნის უმთავრესი პრობლემის, ტყვეთა სყიდვის აღკვეთა განიზრახა, რისი მცდელობაც მანამდე სხვა მეფეებსაც ჰქონდათ, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს.

სოლომონ I-ის პოლიტიკის გამგრძელებელად ითვლება სოლომონ II. იგი ყოველ ღონეს ხმარობდა იმერეთის სამეფოს აღორძინებისთვის, ქართული სამეფო სამთავროების გასაერთიანებლად და საერთო მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად. 1790 წლის ივნისში გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ძალითაც სოლომონ II, გრიგოლ დადიანი და სიმონ გურიელი ქართლ-კახეთის სამეფოსთან სამხედრო კავშირს ამყარებდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ, აღიარებდნენ ერეკლე II-ს მფარველობას და მასვე ანდობდნენ რუსეთთან ურთიერთობას.

1804 წელს რუსები, პავლე ციციანოვის ხელმძღვანელობით, იმერეთში შეიჭრნენ და ხალხს ძალით აფიცებდნენ რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე I–ს ერთგულებაზე. სოლომონი იძულებული გახდა რუსეთის მიერ შემოთავაზებული პირობები მიეღო. იმავე წლის 25 აპრილს ელაზნაურში (ახლანდელ სოფ. ვახანის ახლოს, ხარაგაულის რაიონში) დაიდო ე. წ. ელაზნაურის შეთანხმება, რომლის ძალითაც იმერეთი რუსეთის ქვეშევრდომად ცხადდებოდა, თუმცა, პოლიტიკურ არსებობას ინარჩუნებდა და მეფობა ხელშეუხებელი იყო. რუსული სცენარი ცხადი იყო, თითქოს ადგილობრივ ხელისუფლებას არ აუქმებდნენ, მაგრამ მეფე ფაქტობრივად ნომინალურ ძალაუფლებას ფლობდა. სოლომონ მეორე ასეთ მდგომარეობას არ ეგუებოდა და ყოველ შანსს იყენებდა იმისთვის, რომ შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი მოეძებნა. 1806 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო, რომელსაცდიდი იმედით შეჰყურებდა მეფე, რომ რუსეთის გავლენა დასუსტდებოდა რეგიონში, მაგრამ ეს ომი ამ უკანასკნელის უპირატესობით წარიმართა.

1810 წლის მაისში სოლომონ მეორემ იმერეთში აჯანყება დაიწყო, რომელიც სამი თვე გრძელდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან აჯანყებულები წარმატებას აღწევდნენ და რამდენჯერმე რუსეთის ჯარი დაამარცხეს, ეს აჯანყება საბოლოოდ მაინც მარცხით დასრულდა. უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის არმიას ეხმარებოდა ბევრი თავადი: გიორგი წულუკიძე, ზურაბ წერეთელი, ლევან დადიანი და მამია გურიელი. უკანასკნელი ბაგრატიონი მეფე სექტემბრის მიწურულს იძულებული გახდა ახალციხეში გადასულიყო. 1815 წელს ოსმალეთში გადახვეწილი მეფე გარდაიცვალა და ტრაპიზონში დაკრძალეს.

1810 წლიდან პოლიტიკური ცენტრი - ქუთაისის გუბერნია

1810 წელს გაუქმდა იმერეთის სამეფო და შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. ქუთაისიც, როგორც რუსეთის ნაწილი, განაგრძობდა არსებობას და განვითარებას. ამ დროისათვის საქართველოს ადმინისტრაციული დაყოფა ასეთი იყო: „დასავლეთ საქართველო შეუერთდა რუსეთს 1810 წელს; იგი იმართებოდა დივანის მეშვეობით. .... 1817 წელს სახელწოდება „დივანი“ შეიცვალა სახელწოდებით - „იმერეთის დროებითი მმართველობა“, რაც არსებობდა 1841 წლამდე. ამის შემდეგ უკვე იმერეთი სახელწოდებით, „ქუთაისის მაზრა“.

1846 წელს ამიერკავკასიის ტერიტორიაზე წარმოიქმნა ორი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული - თბილისის გუბერნია და ქუთაისის გუბერნია.

1850 წელს ქუთაისში გაიხსნა საგუბერნიო გიმნაზია, ხოლო 1852 წელს ჭომაში საფუძველი ჩაეყარა სასოფლო-სამეურნეო სკოლას. ვაჭრები, ხელოსნები და სხვადასხვა სახის მუშახელი ქუთაისისკენ მოიწევდა. ქუთაისი 1860-იანი წლების დასაწყისში ნელ-ნელა თანამედროვე ქალაქს ემსგავსებოდა.

1870-1890-იან წლებში ქუთაისის თვითმმართველობამ გაატარა რამდენიმე მიმართულებით რეფორმები, რომელიც მნიშვნელოვანი იყო ქალაქის განვითარებისთვის. ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და გაუმჯობესება, რომელიც მოიცავდა გზების, ხიდების, არხების მშენებლობა-მოწესრიგებას. ქუთაისი, როგორც რეგიონის მთავარი ადმინისტრაციული ცენტრი, მოითხოვდა აღნიშნული პრობლემების მოგვარებას ვაჭრობის გასავითარებლად, სატრანსპორტო საშუალებების ადვილად გადასაადგილებლად, გაზრდილი მოსახლეობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და ა.შ. რაც პირდაპირპროპორციულად იმოქმედებდა ქუთაისის ეკონომიკის განვითარებაზე და ბიუჯეტის შევსებაზე.

ქუთაისში 1854 წელს გაიხსნა ჰოსპიტალი, მაგრამ მხოლოდ 4 საწოლი იყო და პაციენტებს განსაკუთრებული შემთხვევების გარდა არ იღებდნენ, მაგრამ ეს ჰოსპიტალიც 80-იან წლებში დაიხურა. ამან განაპირობა ქუთაისის პრაქტიკულად სამედიცინო დახმარების გარეშე დატოვება. თუმცა, ქალაქში ცხოვრობდნენ ისეთი სამედიცინო განათლების მქონე პირები (სიმონ თოფურია, დიმიტრი ნაზარიშვილი, სიმონ ხეჩინაშვილი და სხვ.), რომლებიც ცდილობდნენ ამ პრობლემის მოგვარებას და 1890 წელს სიმონ თოფურიამ, საკუთარი ძალისხმევითა და შემოწირულობებით, ქუთაისში გახსნა კერძო კლინიკა.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციისა და ჰიგიენური ცოდნის პროპაგანდის საქმეში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ქუთაისის სამედიცინო საზოგადოება, რომელიც 1892 წელს დაარსდა. 1892 წელს ქუთაისს ემსახურებოდა 13 ექიმი (მათ შორის, ორი ქალი), 16 ექთანი და 6 ბებია-ქალი. სამედიცინო მომსახურებზე თვითმმართველობამ დახარჯა 1784 მანეთი.

ეკონომიკის განვითარებისა და ხელშეწყობისთვის 1876 წელს ქუთაისში დაარსდა საადგილმამულო სათავადაზნაურო ბანკი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქუთაისის როგორც ეკონომიკის წინსვლაში, ასევე საზოგადოებრივი ცხოვრების დონის ამაღლებაში. ბანკის მოგების დიდი ნაწილი იხარჯებოდა სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებზე და აფინანსებდა სხვადასხვა პროექტს.

1895-1898 წლებში საქალაქო თვითმმართველობა ქალაქის კეთილმოწყობას შედარებით მეტ ყურადღებას აქცევდა. ამ პერიოდში შეკეთდა ქუჩები 12 ვერსზე, რაშიც დაიხარჯა 100 ათასი მანეთი. ამავე პერიოდში ნიკოლაევის ხიდის ხის ნაწილები შეიცვალა რკინის ნაწილებით.

XIX საუკუნის მიწურულს ქუთაისში დაიწყეს რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი, ქალაქის ელექტროფიკაცია და სუფთა სასმელი წყლით მოსამარაგებლად აუზის მშენებლობა; თუმცა, ორივე პროექტი დაგეგმილთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიწელა დროში.

1860-იანი წლების ბატონყმობის გაუქმების შემდგომი პერიოდი კაპიტალისტური საწარმოების წარმოქმნის ეპოქა იყო. მეწარმეობის სფერო აქტიურად განვითარდა. პეტრე კოკოჩაშვილს მინერალური წყლის ქარხანა ჰქონდა; ოცხელები აწარმოებდნენ საღებავებსა და არყის დისტილაციას; ჭალიშვილები იყვნენ ჩართულები გიშრის, ბამბისა და მატყლის წარმოებაში; გოკიელები, ფირალიშვილები და მეფისაშვილები კი თამბაქოს წარმოებაში. აგრეთვე, ფუნქციონირებდა აგურის, ტყავის, კრამიტის, საკონდიტრო და საფეიქრო ფაბრიკები, მიტროფანე ლაღიძის შუშხუნა წყლების დარბაზი და ყინულის ქარხანა. ამ პერიოდში გაიხსნა სხვადასხვა სასტუმრო, მათ შორის, „ფრანცია“, „გრანდოტელი“, „ლონდონი“, „პალასოტელი“, „ორიენტი“, „ბელვიუ“, „იტალია“ და სხვები.

განათლება

1892 წელს ქუთაისში იყო 22 სასწავლებელი, სადაც 2962 მოსწავლე ირიცხებოდა. ცხადია, ეს სკოლები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სწავლების ვადით, მოსწავლეთა კონტიგენტით, სწავლების შინაარსით, დანიშნულებით, მასწავლებელთა კვალიფიკაციით და სასწავლო მატერიალური ბაზით. სკოლებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ვაჟთა კლასიკური გიმნაზია დაწმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი. ქუთაისში, ასევე, იყო დაწყებითი ტიპის სკოლები. მათში სწავლა 1-2 წლით განისაზღვრებოდა. ასეთები იყო: საქალაქო სასწავლებელი; სასულიერო სასწავლებელი; სასწავლებლები მართლმადიდებლურ ეკლესიებთან; კათოლიკურ ეკლესიებთან; სინაგოგასთან; II თანრიგის 4 კერძო და III თანრიგის 8 სასწავლებელი.

1879 წელს თერგდალეულთა ინიციატივით დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას, სკოლების, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების დაარსებას. აღნიშნულმა საზოგადოებამ უდიდესი წვლილი შეიტანა ქართველი ერის გარუსებისგან გადარჩენაში. მათ შეძლეს მშობლიური ენისა და კულტურის გადარჩენა. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში აქტიურად იყო ჩართული ქუთაისის ინტელიგენციაც.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სკოლების დაარსებას. ამ საზოგადოების გამგეობამ

1880 წლის 3 თებერვალს ქალაქ ქუთაისში გახსნა დაწყებითი სკოლა, რომელიც შემდეგ ქართულ გიმნაზიად მოგვევლინა და ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა საქართველოში.

1893 წელს ქუთაისში გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო სკოლა. იგი შედარებით პატარა სასწავლებელი იყო. დაარსების წელს იქ 36 ბავშვი სწავლობდა, 1903 წელს კი - 51.

განათლების საქმეში არსებული ეროვნული, რელიგიური და სოციალური სურათის წარმოსადგენად მოვიტანთ ზოგიერთ მონაცემს. ქუთაისის სასწავლებლებში 1903 წელს სწავლობდა: 7325 ქართველი, 485 რუსი, 232 სომეხი, 181 ებრაელი; მართლმადიდებელი იყო 7733 მოსწავლე, გრიგორიანი-232, კათოლიკე-190, ებრაელი-181, მაჰმადიანი-10; თავადაზნაურთაგან გამოსული იყო 3612, სასულიერო წოდებიდან-1030, ვაჭრებიდან-320, მოქალაქეებიდან-1134, გლეხობიდან-1848, უცხოელი-30 მოსწავლე.

1873 წელს ქუთაისში გაიხსნა პირველი ბიბლიოთეკა, რომელიც საკუთარი წიგნის ფონდით დაარსა გამორჩეულმა მოღვაწემ ანტონ ლორთქიფანიძემ. 1894 წლიდან ის ქალაქის ბიბლიოთეკად გადაკეთდა და თვითმმართველობის ბიუჯეტით ხდებოდა მისი მოვლა-პატრონობა. მეორე ბიბლიოთეკა 1896 წელს დაარსდა. ორივე ბიბლიოთეკას ჰქონდა სამკითხველო დარბაზიც.

XIX საუკუნის ბოლოს ქუთაისში მოქმედებდა ოთხი სტამბა და რამდენიმე წიგნის გამომცემლობა, სადაც იბეჭდებოდა მხატვრული, საბავშვო და პოლიტიკური ლიტერატურა.

მოსახლეობა

ქუთაისის მოსახლეობის ზრდა საუკუნეების განმავლობაში არათანაბარი იყო და მნიშვნელოვნად დამოკიდებული იყო ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო მდგომარეობაზე. ჯერ კიდევ ძველი პერიოდის განმავლობაში, როდესაც ქალაქი კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა, მოსახლეობა შედარებით მცირე იყო და, სავარაუდოდ, რამდენიმე ათას ადამიანს არ აღემატებოდა. იმ დროისთვის ქუთაისი უფრო სტრატეგიულ და სავაჭრო ფუნქციას ასრულებდა, ვიდრე დიდი ურბანული დასახლების როლს.

მოსახლეობის მნიშვნელოვანი ზრდა დაიწყო შუა საუკუნეებში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ქალაქი საქართველოს სამეფოს დედაქალაქი გახდა. ამ პერიოდში, განსაკუთრებით დავით აღმაშენებელის მმართველობისას, ქუთაისი გადაიქცა პოლიტიკურ, კულტურულ და საგანმანათლებლო ცენტრად, რამაც მოსახლეობის მატება გამოიწვია და, სავარაუდოდ, ათეულ ათასს მიაღწია. თუმცა, მოგვიანებით, XIV–XVIII საუკუნეებში, მუდმივმა ომებმა, შემოსევებმა და ეკონომიკურმა სირთულეებმა ქალაქის განვითარება შეაფერხა, რამაც მოსახლეობის შემცირებაც გამოიწვია და გარკვეულ პერიოდებში ქუთაისი თითქმის დაცარიელებულიც კი იყო.

ქალაქის აღორძინება დაიწყო XIX საუკუნეში, როდესაც იგი შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. ამ დროიდან ქუთაისმა ადმინისტრაციული მნიშვნელობა შეიძინა, განვითარდა ინფრასტრუქტურა და ვაჭრობა, რის შედეგადაც მოსახლეობა თანდათან გაიზარდა და საუკუნის ბოლოს უკვე ათიათასებს აღწევდა. განსაკუთრებით სწრაფი ზრდა დაფიქსირდა საბჭოთა პერიოდში, როდესაც ინდუსტრალიზაციამ ქალაქში მრავალი საწარმო და სამუშაო ადგილი შექმნა. ამან გამოიწვია მოსახლეობის მკვეთრი ზრდა და XX საუკუნის ბოლოს ქუთაისი 200,000-ზე მეტ მოსახლეს ითვლიდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1990-იანი წლებიდან, ქალაქმა მოსახლეობის კლება დაიწყო. ეკონომიკურმა კრიზისმა, უმუშევრობამ და მიგრაციამ მნიშვნელოვნად შეამცირა მოსახლეობის რაოდენობა. დღეს ქუთაისი კვლავ მნიშვნელოვან კულტურულ და რეგიონულ ცენტრად რჩება, თუმცა, მისი მოსახლეობა შედარებით შემცირებულია და დაახლოებით 140,000–150,000 ადამიანს შეადგენს.

ქუთაისის ეთნიკური შემადგენლობა საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა, თუმცა, ძირითადად იგი ყოველთვის ქართული მოსახლეობის დომინაციით გამოირჩეოდა.

ძველ პერიოდში, როდესაც ქუთაისი კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი მთავარი ცენტრი იყო, აქ ცხოვრობდნენ კოლხური ტომები, რომლებიც ქართველთა წინაპრებად მიიჩნევიან. მოსახლეობა შედგებოდა ადგილობრივი ტომებისგან და უცხო ეთნიკური ჯგუფების როლი შედარებით მცირე იყო მიუხედავად იმისა, რომ სავაჭრო ურთიერთობების გამო ბერძნებთან კონტაქტიც არსებობდა.

შუა საუკუნეებში, როდესაც ქუთაისი საქართველოს სამეფოს დედაქალაქი გახდა, მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ. ამ პერიოდში ქალაქი იყო ქართული კულტურისა და მართლმადიდებლობის მნიშვნელოვანი ცენტრი, განსაკუთრებით, დავით აღმაშენებელის ეპოქაში. სავაჭრო გზების გამო ქალაქში ცხოვრობდნენ მცირე რაოდენობით სომხები, ბერძნები და სხვა ეთნიკური ჯგუფებიც, რომლებიც, ძირითადად, ვაჭრობასა და ხელოსნობაში იყვნენ ჩართულნი.

გვიან შუა საუკუნეებში (XIV–XVIII სს.), მიუხედავად პოლიტიკური არასტაბილურობისა, ეთნიკური სურათი დიდად არ შეცვლილა — კვლავ ქართველები იყვნენ უმრავლესობაში, თუმცა, პერიოდულად იზრდებოდა ახლო აღმოსავლეთიდან გადმოსული მოსახლეობის რაოდენობა.

XIX საუკუნეში, როდესაც ქუთაისი შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, ქალაქის ეთნიკური მრავალფეროვნება მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამ პერიოდში ქუთაისში დასახლდნენ რუსები (ადმინისტრაციული და სამხედრო პერსონალი), სომხები (ვაჭრები და ხელოსნები), ებრაელები (ვაჭრობა და ფინანსები), ბერძნები და სხვა ჯგუფები. მიუხედავად ამისა, ქართველები კვლავ უმრავლესობას წარმოადგენდნენ.

საბჭოთა პერიოდში ეთნიკური შემადგენლობა კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა, რადგან ინდუსტრიულმა განვითარებამ სხვადასხვა რეგიონიდან მოსახლეობის გადმოსახლება გამოიწვია. ქალაქში ცხოვრობდნენ რუსები, უკრაინელები, სომხები, აზერბაიჯანელები და სხვა ეთნიკური ჯგუფები, თუმცა, ქართველები ისევ დომინანტურ ჯგუფად რჩებოდნენ.

1990-იანი წლებიდან, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ქუთაისში ეთნიკური მრავალფეროვნება შემცირდა. ბევრი არაქართული მოსახლეობა (განსაკუთრებით რუსები და ებრაელები) ემიგრაციაში წავიდა. დღეს ქუთაისის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ქართველები შეადგენენ, ხოლო სხვა ეთნიკური ჯგუფები შედარებით მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილი.

ამრიგად, ქუთაისი ისტორიულად მრავალეთნიკური ქალაქი იყო, თუმცა, ყველა ეპოქაში მისი ძირითადი მოსახლეობა ქართველები იყვნენ, ხოლო სხვა ეთნიკური ჯგუფები ძირითადად ეკონომიკურ და კულტურულ მრავალფეროვნებას ამდიდრებდნენ. ქუთაისი მუდამ იყო დაკავშირებული დასავლურ სამყაროსთან — როგორც გეოგრაფიული მდებარეობით, ისე სავაჭრო, საგანმანათლებლო და კულტურული ურთიერთობებით. ევროპული იდეები, არქიტექტურა და ცხოვრების სტილი ორგანულად ერწყმოდა ადგილობრივ ტრადიციებს, რაც ქუთაისს უნიკალურ და მრავალშრიან ქალაქად აყალიბებდა.

ქუთაისი ქალაქია, სადაც ყოველი ქუჩა და ხედი წარსულის ამბავს ჰყვება. აქ ისტორია მხოლოდ წიგნებში არ არის - ის ცოცხალია არქიტექტურაში, ძველ უბნებში და რიონის ნაპირზე ჩამოყალიბებულ ქალაქურ სივრცეში. კოლხეთის დროიდან მოყოლებული დღემდე, ქუთაისი მუდმივად იცვლებოდა, მაგრამ ინარჩუნებდა თავის უნიკალურ იერსახეს, სადაც ძველი და ახალი ერთმანეთში ბუნებრივად ერწყმის. სწორედ ამიტომ, ქალაქის ისტორიის შეგრძნება ყველაზე კარგად მის ხედებში და ყოველდღიურ გარემოშია შესაძლებელი - ადგილებში, სადაც ერთდროულად ჩანს მისი წარსული და აწმყო.

ამ ისტორიის დანახვა განსაკუთრებით კარგად შეიძლება თეთრი ხიდიდან, რომელიც ქუთაისის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და საყვარელი ადგილია.

ქუთაისის სავიზიტო ბარათი - თეთრი ხიდი

ქუთაისის სახიდე ნაგებობებს შორის თავისი კონსტრუქციით გამოირჩევა “თეთრი ხიდი”.

1850 წელს დაიწყო ახალი, საკმაოდ დიდი, სამმალიანი ხიდის მშენებლობა მდინარე რიონზე, ყოფილი სამეფო რეზიდენციის “ოქროს ჩარდახის” კომპლექსის მოსაზღვრედ. ხიდის მშენებლობა, რომელიც წარმოადგენდა მდინარეში ამოყვანილ ხის სამმალიან თაღოვან კონსტრუქციას, ხის მოაჯირითა და სავალი ნაწილით, დამთავრდა 1852 წელს. ხიდი აშენდა სამხედრო მშენებლის, ვიტეს პროექტის მიხედვით.

ახალი ხიდი იმდროინდელი ქუთაისისათვის მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა და თავდაპირველად რუსეთის მეფის ნიკოლოზ პირველის პატივსაცემად “ნიკალაევსკი მოსტი” უწოდეს. ხიდი სრულად აკმაყოფილებდა იმდროინდელი სახის ტრანსპორტისა და ხალხის მოძრაობას.

ახალი ხიდის გახსნას დიდი ზარ-ზეიმით შეხვედრია ქუთათური საზოგადოება. მაგრამ, სამწუხაროდ, 1860 წელს აღნიშნული ხიდი მდ.რიონის წყალმოვარდნის შედეგად განადგურებულა.

ამის შემდეგ გადაწყდა ახალი, ლითონის ხიდის აგება ძველ ქვის ბურჯებზე. პროექტის ავტორი ინჟინერი ზეზელმანი იყო. ლითონის კონსტრუქცია სპეციალურად ქუთაისის ხიდისთვის ევროპაში დამზადდა, შემდეგ ჩამოიტანეს და ადგილზე ააწყვეს. ხიდზე დაიგო ხის ფიცარნაგი, რომელიც საქაპანო ტრანსპორტის ინტენსიური გამოყენების გამო სწრაფად ცვდებოდა და ყოველ 4-5 წელიწადში ერთხელ ქალაქის ხაზინის ხარჯზე ახლდებოდა.

თეთრი მოაჯირის გამო ხალხმა მას უბრალოდ თეთრი ხიდი უწოდა - სახელწოდება, რომელიც დღემდე შემორჩა. ხიდზე გადასვლა ფასიანი იყო და 1-დან 4 კაპიკამდე მერყეობდა, ტვირთის ზომისა და ტრანსპორტის სახეობის მიხედვით (ცხენი, ურემი...).

ქუთაისის ერთ-ერთი მთავარი სიმბოლო თეთრი ხიდი შექმნის დღიდანვე ქალაქის მოსახლეობის ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ ადგილად იქცა. სხვადასხვა ეპოქაში ხიდი განსხვავებულ დანიშნულებას იძენდა - ვითარდებოდა, იცვლებოდა, ქალაქთან ერთად ცხოვრობდა.

ერთ დროს ის ყველაზე სახალისო ადგილის სახელითაც იყო ცნობილი: ხიდიდან რიონში გადახტომა ახალგაზრდებისთვის მხიარულ და დაუვიწყარ რიტუალად ითვლებოდა. ეს ტრადიცია მრავალჯერ ქცეულა შემოქმედების შთაგონების წყაროდ პოეტებისთვის, მწერლებისთვისა და დრამატურგებისთვის. სწორედ ამ „პოეზიის“ ძეგლია ხიდის მოაჯირზე ჩამომჯდარი, წყალში გადახტომისთვის გამზადებული სკულპტურა - „პიკასოს ბიჭი“, რომელიც ქუთაისის ხასიათს, თავისუფლებასა და ახალგაზრდულ სულს განასახიერებს.

1948 წელს ქუთაისში ახალი საზოგადოებრივი ტრანსპორტი - ტროლეიბუსი გამოჩნდა, რომლის მარშრუტიც გრიშაშვილის ქუჩაზე გადიოდა, სადაც თეთრი ხიდი მდებარეობს. ამის გამო ხიდს კაპიტალური რეკონსტრუქცია ჩაუტარდა და ის ქალაქის ერთ-ერთ მთავარ სატრანსპორტო მაგისტრალად იქცა. თბილისიდან მომავალი სამხედრო გზა, რომელიც ფოთისკენ მიემართებოდა, სწორედ თეთრ ხიდზე გადიოდა.

1987 წელს ჩატარებულმა ექსპერტიზამ აჩვენა, რომ ხიდი „დაბერებულა“, მნიშვნელოვნად დასუსტებულა, თითქოს თავად თქვა უარი ხმაურზე, რის გამოც სატრანსპორტო მოძრაობა შეიზღუდა. მოგვიანებით თეთრი ხიდი სრულად საფეხმავლო გახდა.

დღეს თეთრი ხიდი ქუთაისის ერთ-ერთ ყველაზე მომხიბვლელ, რომანტიკულ ადგილად ითვლება — პაემნების, შეხვედრებისა და მშვიდი სეირნობისთვის. ის ჰარმონიულად ერწყმის ქალაქის ცხოვრებას, როგორც ცოცხალი მოგონება, რომელიც რიონის ნაპირზე ჩუმად ჰყვება ქუთაისის ისტორიას.

წითელი ხიდი

“წითელი ხიდი” ერთ-ერთი საინტერესო, ისტორიულ-არქიტექტურული ნაგებობაა ქალაქში. ხიდი, რომლის მშენებლობა 1862 წელს დასრულდა, წარმოადგენდა თანამედროვე ტექნოლოგიების ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს იმ დროის ქუთაისში. ის იყო პირველი რკინის ხიდი სამხრეთ კავკასიაში.

მის ასაგებად საჭირო მასალა საფრანგეთიდან შემოიტანეს. ხიდი წარმოადგენდა ევროპული ინდუსტრიული სტანდარტებით შექმნილ ნაგებობას , რაც მას არა მხოლოდ სატრანსპორტო მნიშვნელობას ანიჭებდა, არამედ ტექნოლოგიურ სიახლედ აქცევდა ქალაქის ურბანულ ქსელში.

ხიდს „წითელი“ მისი შეფერილობის გამო ეწოდა. ეს ფერი თვალსაჩინოდ გამოარჩევდა ხიდს ქალაქის პანორამაში და მის სახელს ჯეროვნად ამაგრებდა მოსახლეობის მეხსიერებაში.

არქიტექტურულად წითელი ხიდი რკინის რკალებისა და მდგრადი კონსტრუქციის კომბინაციით გამოირჩეოდა, რაც მას საკმაოდ საიმედოს ხდიდა სატრანსპორტო დატვირთვისთვის.

ხიდს ქალაქის ურბანულ და სოციალურ ცხოვრებაში განსაკუთრებული როლი ჰქონდა. აქ ხდებოდა საქონლის გადატანა, ყოველდღიური გადაადგილება, ხოლო ზოგჯერ საზოგადოებრივი მოვლენები, შეხვედრები და კულტურული აქტივობები. ეს ხიდი იყო არა მხოლოდ ინჟინერიის მიღწევა, არამედ ქალაქის განვითარების მნიშვნელოვანი სიმბოლო.

ქუთაისის წითელი ხიდი გვახსენებს, თუ როგორ შეიძლება ისტორია, ტექნიკა და არქიტექტურა ერთმანეთში შერწყმული იყოს, ხოლო ქალაქის მეხსიერება უხილავად, მაგრამ ცოცხლად იცავდეს ეპოქებს და ადამიანების ცხოვრების ისტორიას.

1902 წელს წითელი ხიდი მნიშვნელოვნად დაზიანებულა, ამ პერიოდში მასზე მოძრაობა შეჩერებულა და ეტლები აღარ დადიოდნენ.



“ვინ იცის კიდევ რამენ ხანს გვექნება ეს ხიდი შეკრული, მანამ ქალაქი შეაკეთებდეს და გახსნიდესო”, - ვკითხულობთ გაზეთ “ცნობის ფურცელის” ერთ-ერთ ნომერში. ამ დროისათვის ხიდზე საცალფეხო, “საფეხური” გზა ყოფილა დატოვებული და ადამიანები მას იყენებდნენ გადასაადგილებლად, მაგრამ ისიც ძალიან სახიფათო ყოფილა მაშინ მიმოსვლისათვის...

“...საფეხური გზა დატოვებულია, მაგრამ სახიფათოცაა ხიდზე მოსიარულეთათვის, ისეთი ნაპრალებია აქა-იქ დარჩენილი, რომ შეუძლებელია ღამე გამვლელს ფეხი არ ჩაუვარდეს ამ ნაპრალში. სულ ორიოდ გროშის დახარჯვით ადვილად შეიძლება ხიდზე გამვლელ-გამომვლელთათვის ხიფათის თავიდან აშორება...” ვკითხულობთ გაზეთ “ცნობის ფურცელში...”

რიონისპირა დასახლება

წითელი ხიდიდან ყურადღებას იქცევს მე-19 საუკუნის რიონისპირა უბანი, რომელიც არა მხოლოდ ვიზუალური კუთხით გამოირჩევა, არამედ ისტორიულ-არქიტექტურული თვალსაზრისითაც ძალიან საინტერესოა.

ეს უბანი ციცაბო ნაპირზეა, მდინარის გაყოლებაზე, სადაც ხის აივნებითა და მოჩუქურთმებული ფასადებით მორთული სახლები თითქოს ჰაერში არიან გამოკიდებული. ასეთი განაშენიანება ქმნის უნიკალურ ჰარმონიას ბუნებრივ ლანდშაფტთან, რაც ძალიან განსხვავდება სხვა ურბანული უბნებისგან.

XIX-XX საუკუნეებში სახლებში, რომლებიც ძირითადად ხის კონსტრუქციით იყო აგებული და შუშაბანდებით და აივნებით დატვირთული, ვაჭრები ცხოვრობდნენ. ეს უბანი წარმოადგენდა ქალაქის ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ცენტრალურ ნაწილს. მიუხედავად იმისა, რომ შენობათა დიდი ნაწილი უკვე დაინგრა, ნაწილი კი ავარიულ მდგომარეობაშია, სახლებს შორის ჩასასვლელ ვიწრო ქუჩებში, აივნებსა და ფასადებში კარგად ჩანს იმდროინდელი ქუთაისის ცხოვრების რიტმი. ეს არის უბანი, რომელიც ინახავს ქუთაისის ურბანული ცხოვრების კვალს და გვიყვება ისტორიას, თუ როგორ სახლობდნენ ადამიანები, როგორ აკავშირებდნენ სახლებს, ქუჩებს და მდინარეს თავიანთ ყოველდღიურ ყოფასთან.

რიონისპირა სახლები გამოირჩევა გამაგრებული ფუნდამენტებით, არქიტექტურული დეტალებით, რომლებიც ხის ჩუქურთმიანი აივნების წყალობით ქმნიან ჰაერში გამოკიდების ეფექტს. ეს ტექნიკა აჩვენებს, როგორ ცდილობდნენ ქალაქის მშენებლები განაშენიანება ადაპტირებული ყოფილიყო ბუნებრივ ლანდშაფტთან და მდინარის ციცაბო ნაპირთან. ამ შენობებმა გამოკვეთილი არქიტექტურული იდენტობა შექმნეს, რომელიც უნიკალურია არა მხოლოდ ქუთაისისთვის, არამედ დასავლეთ საქართველოს ურბანულ განვითარებაში.

ჯაჭვის ხიდი

“ჯაჭვის ხიდი”, იგივე “ქუთაისის ძველი ხიდი” თავდაპირველად აიგო იქ, სადაც ქუთაისის გორაკ-ბორცვიანი ნაწილი ქვედა ქალაქს უკავშირდებოდა. ხსენებულ საკომუნიკაციო ნაგებობას უდიდესი და მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრებოდა საუკუნეების განმავლობაში.

“ქუთაისის ხიდი” ერთმანეთთან აკავშირებდა ქალაქის ქვემო ნაწილსა და ზემო გამაგრებულ პერიმეტრს, სადაც ქალაქის უმთავრესი ციხესიმაგრე იყო აგებული. ქუთაისის ხიდის აგების ხანად მე-8 საუკუნეს ვარაუდობენ. როგორც მკვლევარი ვ. ჩაკვეტაძე წერს: “ქუთაისში მე-8 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში აგებულ საყოველთაო სახალხო მნიშვნელობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაგებობას მდ. რიონზე აგებული ხიდი ეკუთვნისო”...

უნდა აღინიშნოს, რომ კოლხეთის ჩრდ.მთიანეთიდან (სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი) მომავალი სავაჭრო-საქარავნო გზები მდ. რიონის ხეობას მიჰყვებოდნენ და ქუთაისში ჩამოდიოდნენ, აქ ჰკვეთდნენ მაშინდელ ქუთაისის ხიდს, დღევანდელ “ჯაჭვის ხიდთან” და ქალაქის ზემოთში, იქ მდებარე ციხესიმაგრემდე, სამეფო რეზიდენციამდე აღწევდნენ

ხსენებულ საკომუნიკაციო ნაგებობას “ჯაჭვის ხიდი” ეწოდა მას შემდეგ, რაც ინჟინერმა ზუბოვმა ჯაჭვებზე დაკიდებული ხის კონსტრუქცია გადო მდინარე რიონზე, მე-19 ს.ის 50.იანი წლების დასაწყისში. მას რუსულად “ზუბოვის ხიდსაც” ეძახდნენ.

ხის კონსტრუქციამ, რომელიც ჯაჭვებს ეყრდნობოდა და გადაჭიმული იყო ძველ ბურჯებზე, რამდენიმე წელი იარსება და ბოლოს 1869 წელს მდ. რიონში ჩაინგრა, ეს ამბავი დეტალურადაა აღწერილი გაზ. “დროების” ერთ-ერთ ნომერში: “რიონზე ორი ხიდია, ამ ორ ხიდში ერთი რკინის არის (აქ წითელი ხიდი იგულისხმება), ამ ხიდს კარგ მაგარს ამბობენ, თუმცა ფაეტონებს დაშლილი აქვთ, ზოგ-ზოგჯერ, უფრო ახალ მთვარეზე, მასზე ჩქარა სიარული და მეორე ხიდი ჯაჭვისაა, რუსულად წოდებული ზუბოვის ხიდად, რომელსაც ხირხიმალი ძალიან დაზიანებული აქვს...” (გაზ.დროება. 1869).

1869 წ.ის 7 იანვარს, ღამის 9 საათზე ქუთაისში შვიდი დატვირთული ფურგონი შემოსულა, მეფურგუნოები მალაკნები ყოფილან და ერთიც ავლაბრელი სომეხი, პირველად მოსულან ისინი ქუთაისში, ფურგონები დატვირთული ჰქონიათ სხვადასხვა სახის საქონლით. საბრალოებს გზა არევიათ თურმე და რკინის, იგ. წითელი ხიდის ნაცვლად “ჯაჭვის ხიდზე” გადასულან, ხის კონსტრუქციას ვერ გაუძლია დიდი სიმძიმისათვის და ხიდი მთლიანად ჩანგრეულა, ფურგონები კი რიონში ჩაცვივდა. ზარალი საკმაოდ დიდი ყოფილა, მაგრამ ადამიანის მსხვერპლი ამ კატასტროფას არ მოჰყოლია:

დროება

„დროების“ კორესპონდენციები.

ქუთაისი.—Იანვრის 7-ს ქუთაისის ჯაჭვის ხიდის დაქცევა.

ზეშინ, წყალ-[illegible] ღამის მეკხრე საათზე მოსულიყო ქალაქიდგან შვიდი დატვირთული ფურგონი. მეფურგუნოები მალანები იყვენ: ერთი მგონია ალაბარელი [illegible] ხიც იყო.—პირველი მოსული ყოფილა ამათი ქუთაისში.

Თუმცა მთელი ქუთაისი თვითად იყო შეკოსილი თოველითა და თოველის სათვითრითაც ცოტად გზაც მოჩნდა, თუმცა აქა-იქაც ქუჩებში ფარნებიც ვეკიკუნა, რომელთაც ზოგჯერ ანთებენ,—მაგრამ მაინც ბნელოდა, რადგანაც ცა მოღრუბლული იყო.

Ამ მეფურგუნოებს უფიქვილად სცოდნიათ, რომ ქუთაისს მღინარეა და ამ მღინარეზე ხიდია.—მგონია ის კი არ შეეტყოთ ამ საწყლებს, რომ ამ მღინარეზე ორი ხიდია და რომ ამ ორ ხიდში, ერთი რკინის ოის,—ამ ხიდს კარგ მაგარს ამბობენ, თუმცა ეაეტონებს დაშლილი აქვთ ზოგ-ზოგჯერ, უფრო ახალ მთვარეზე, მასზე ჩქარა სიარული;—და მეორე ხიდი ჯაჭვისა, რუსულად ეოდებული ზუბოვის ხიდი, რომელსაც ხირსიმალი ძალიან დაზარალებული ქონდა.

ძალაქში რომ შემოსულან ამ მეფურგუნოებს გაღმა სტუმრებითა გასალა. უეჭველად გაღმა ფულებოდათ თავიანთვის ბინა და რადგანაც არ იცოდნენ, თუ რომელ ქუჩას უნდა დასდგომოდნენ ხიდთან მისასველელად და გაღმა გასასველელად, ეკითხათ საწყლებს იქვე ქუჩაში მიმავალ ბიჭისათვის: „ხიდი სა-

ითკენ არისო“.—Ამ ბიჭსაც უჩვენენია ის გზა, რომელსაც მოუყვანია: ეს ფურგონები ამ ჭიპრავარდნილ ჯაჭვის ხიდთან, ესე იგი ზუბოვის ხიდთან.

მეფურგუნოებს გაბედულად შეუყვენებია ზედ თავიანთ ფურგონები... ბადასული პირველი, მეორე, მესამე, მეოთხეც გადასული არაფერი... მან იცის ჭიპ-ჩავარდნილი ეიდეც მაღლა ეენესოდა, რომ ამდენნი ფურგონნი შეუპოპრად დასვენულებულ მუცელზე გადუარა. მაგრამ საწყალი მეფურგუნოები სად გადგებოდნენ, ამის ჭრაპერუტა,—თუ ცხენების ეძვენების ხმაურობა და თუ რიონის ღრიალი რას გაგებინებდნენ? —მოლის დასრულენი სამი ფურგონი რომ ზედ შედგა—ეელარ აიტანა სნეულმა ამდენი სიმწარე—გაუწყდა მარჯვენა ჯაჭვი და ერთბაშად სულ მოლად ეს ხიდი თავისი დამშვალ ეოკებითა, მოაჯრებითა, პოლითა, და ზედ სამი დატვირთული ფურგონებითა მისი ცხენებითა და კუჩრებითა ჩაუგეთქა ამ საშინელ სიმაღლიდგან მღინარეშია... წარმოიდგინეთ, რა საზარელი და საშინელი ხმა იქნებოდა!.. და თან ამ საშინელ ხმასთან, ადაქოფებულ რიონსა, ერთი წამითა იმ ჩანაქცევ ხიდით შეეყენებულსა გაქანდა გამწარებული ღრიალი: მაგრამ ამ რიონის ღრიალზე უმაღლესად მოისმოდა ფულსაკლავი ხმა იმ საწყალ მეფურგუნოებისა, რომელნიც იმ საშინელებაში ჩაცვენულნი, ამ ბნელა ღამეში გაჰკოდნენ საშინელ ხმითა: „ქრისტიანენო! ზეშველეთ! მიშველებთ! ზეშველეთ!“—ამ ხმაურობაზე და ამ კვილზე გამოცვენულან გარეთ ერთი იქ ახლო მცხოვრები გაღმა-გამოდმელები; ბგონებრივი სახლი ჩაქცეულა თოველისგანაო, მაგრამ დუნახავთ, რომ ხიდი აღარ არის; ახლა ამათ შეეკნაოთ ეკერიელი... ზამოდმიდგან არაფერი საშეელი არ იყო, რადგანაც ბოლმის ნაპირისკენ უფრო ახლო იყენენ ჩაცვენულნი.—მალე ჩავიდნენ კაკები, და რაც შეიძლებოდა იმ ბნელა ღამეში და მღინარე წყალში მიეშველეს ამ წყალ-

ბზედ. ერთი რაღაცა უეცარი დასგეოვნა. [illegible] ნდა და თავიდგან ბოლომდის ეს ხიდი ჩანგრა და ოთხივე ფურგონი თავისის საქონლით და პასაჟირით, ცხენებით და მეფურგუნეებით ქვეშ მოიშეყვედა და ეს ოთის ეერშოლეანი სიმგრგვალით რკინის ჯაჭვი მარჯვენა კვერდზე ფერმის მხრით გაწყდა. 12 საჟენი სიგრძითზედ ამ ფურგუნებს დაეცა. Ამ დროს შეიქმნა ერთი საშინელი ხმაურობა და ეეერილი, ეინ ხართ ქრისტიანი გეეშველეთო, ამ საზარელ ამის ეეცარ თ გამგონნი, ხალხნი ხიდის ჩატეხის ხმაურობისა და ეეერილისა გამო, აღიძრენენ, მირბენეს და ნახეს რომ ხიდი აღარ არის და ძირს ჰეეერიან: ეინ ხართ ქრისტიანი ეეშველეთო, მსმენელნი ამ ხმასა მაშინვე ჩაეკრენ რიონის პირებზე, სდიეს, მაგრამ ეინ რას შეეშველებოდა. რადგან ბნელი ღამე იყო და ყინვა და ბუქი. ბეერმა შესცურა ამ რიონში, მაგრამ საბარლებს ეერაფერი საშველი ეერ მისცეს.

Ამ ჩახეთქებულს ფურგონებში ორი ფურგონი ცხენებით და მეფურგონოებით თავის საქონლით თერთ წყალმა ქოკორეის ამანომდის მოაბრა. რა რომ შეუნიშნეე ალაბარელს მეფურგუნეს, რომ შედისგან განწირულება ემარდება გადახტა ფურგონიდგან და გაღმა ხელზედ გასცურა და ფურგონი კი ღეთის ამანათთან გაეშვა. მეორე მალაკანმა ამბითა ფურგუნი ვიდრე რკინის ხიდამდე და რკინის ხიდთან ესეც ისრე მოიქცა ეითარცა პირველი, და ხალხმა, რა მეორეც იყო, იხსნა ეს მალაკანი დახრჩობისაგან. ფურგონები ჩატანა ზოგი ცხენების ლონემ და ზოგი წყლის ძალამ გიმნაზიასა და ნიკოლაძის ქარავასლამდის შეა მღინარეში. 4 ცხენი დაიხრჩო და ორი როგორც იყო გამოიყვანეს; დანარჩენი ორი ფურგონი მოსწყვიდა ცხენებით ამ რკინის ხიდის ქვეშ,

ერთი ფურგონი იქვე ხიდის ბურჯთან წყალში ნაპირთან ახლო ჩახეთქილიყო [illegible] ნაქცევის ხიდის ხეებში.—

მეფურგუნოები?—

— აბა ერთი წარმოიდგინეთ თქვენ იმოდენ სიმაღლიდგან, უკანასკნელი ერთი ათი საჟენი მაინც იქმნებ[illegible] სიმაღლე, ხიდი ჩამ[illegible]ქცეს და თან ჩაიტანოს სამი დატვირთული ფურგონი თავისი ცხენებით და კუჩრებით, ჩაიტანოს და ჩაგდოს მღინარეში, რომელიც გაეოფებული და თავის ხეთქით მირბის სულ ეკლდიან ადგილზე,—ბნელა ღამეში, კაცი ჩაეარდეს ამ ნაირად—და ლუკმა-ლუკმა არ დაიმტერეს და კიდეე სული შერჩეს!.. Ამ საწყალ მეფურგუნოებს არა თუ სული შერჩათ, ისე გადარჩნენ სიკეედილსა, რომ არც არაფერი სტკენიათ. მართლა რომ გასაოცებელია ამ გვარი შემთხვევა. Ცხენებიც ზოგიერთი გადურჩენიათ.—რაც საქონელი იყო, თუ ბამბა და თუ სხვა რამ იყო, ერთათ გამოიტანეს მეორე დღესა წყლიდგან.

Ასე საკვირველად გადურჩნენ ეს საწყალი მეფურგუნოები დამტერეეას და სიკეედილსა, და ასე უსიკეედილოთ გადურჩნენ თვით ქუთაისლები ამ ახლო ხანებში მოსაველელ უბედურებას.

Ეს ჯაჭვის ხიდი იყო აშენებული ქუთაისის მცხოვრებლების ფულებითა უფ. ინჟინერ ზუბოვისაგან, რომელსაც მინდობილი ჰქონდა მისი აშენება, როგორც გამოცდილ ინჟინერსა. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

მართალია ქუთაისს და ბეერს იქ მცხოვრებს დიდი ზარალი მიეცა ამ ხიდის დაქცევითა, მაგრამ მაინც ყველა აქაურებს მართებთ მადლობა შესწირონ ღმერთსა, რომ ასე იაფად გადურჩნენ ამ საშინელ შემთხვევას. რომ ადამიანი არ დაიღუპა, არც სტუმარი და არც შინაური, რომ მაშინ არ ჩატყდა, როდესაც მიასვენებდნენ მკედარსა, რომელსაც მიჰყვებოდა სამი ფურგონის სიმძიმე ხალხი, და რომ გაზაფხულამდინ არ დარჩა, თორემ წყალ დიდობაზე, როგორც ჩვეულება აქვსთ აქაურებს, ხიდიდგან ყურება მიღიბული წყლისა, უეჭველად ერთი უბედურობა რომ მოხდებოდა.

Ასე მოეღო ბოლო უფ. ზუბოვის აშენე-

დანგრეული “ჯაჭვის ხიდი” მე-19.ს.ის 80.იან წლებში იქნა აღდგენილი და ექსპლოატაციაში გაშვებული.

უქიმერიონის გორა

როდესაც ჩვენ ძველი და ახალი ქუთაისის ისტორიის შესახებ ვიწყებთ თხრობას, გვერდს ვერ ავუვლით იმ საინტერესო საკითხს, რამაც ასეთი დიდი ინტერესი და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ქართველ ისტორიკოსებში, რომლებიც ქუთაისის თემატიკის შესწავლით იყვნენ დაინტერესებულნი. საქმე ეხება „უქიმერიონის გორასა” და ამავე სახელწოდების ციხესიმაგრე „უქიმერიონს”, რომლის ადგილმდეობარეობის თემამაც მრავალი ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და ისტორიკოს-მკვლევართა ყურადღება მიიქცია. ფართოდ გავრცელებული შეხედულების მიხედვით, “უქიმერიონი” გაიგივებულია ქუთაისის დედა ციხესთან, რომელიც აშენდა ადრეფეოდალურ ხანაში, V-VI სს-ში.

მკვლევართა აზრით, „უქიმერიონის” ციხე უნდა ყოფილიყო აგებული ქუთაისის გორაკ-ბორცვიან ნაწილში, „ხორხის” მთის, იგივე „არქიელის გორის” ზემო პერიმეტრზე, იქ, სადაც ბაგრატის დიდებული ტაძარია აშენებული.

ქუთაისის ძველი ციხესიმაგრის ფრაგმენტები დღემდე კარგადაა შემორჩენილი ბაგრატის ტაძრის ირგვლივ. ციხის კედლების სწორხაზოვანი მტკიცე წყობა ამოყვანილია კლდის კარგად დამუშავებული უზარმაზარი კვადრებით, ხშირ შემთხვევაში მშრალი წყობით, რაც პირდაპირ მიუთითებს ამ თავდაცვითი ნაგებობის სიძველეზე. ასეთი გადაწყვეტა დამახასიათებელი იყო ადრეფეოდალური ხანის ძეგლებისთვის.

ქუთაისის მთავრი ციხესიმაგრის ასაგებად შერჩეული იყო სტრატეგიულად გამართლებული ტერიტორია, ზედა ქალაქის მიდამოებში, დღევანდელი “არქიელის გორა” და მისი შემოგარენი. აქედან ძალიან კარგად ჩანდა და კონტროლდებოდა დიდი ტერიტორია, რაც საჭიროების დროს გამართლებული მანევრირების საშუალებას იძლეოდა.

“უქიმერიონის ციხეს” პირველად იხსენიებს ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოფი კესა-რიელი მე-6 ს.ში, რომელმაც ამ პერიოდში იმოგზაურა დას. საქართველოში და დეტალურად აღწერა იმდროინდელი ქართველების პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ბევრი მიმართულება.

პროკოფი კესარიელის თქმით, “უქიმერიონის ციხე” კეტავდა ლეჩხუმისა და სვანეთისაკენ მიმავალ გზებს და მდებარეობდა ქუთაისთან ახლოს. ამის საფუძველზე მკვლევრები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ “უქიმერიონი” ეს იგივე ქუთაისის ციხეა, რომ იგი ძველი გზების დარაჯი და ჩამკეტი იყო. ეს მოსაზრება ბევრმა მეცნიერმა გაიზიარა და ერთხმად აღნიშნეს, რომ ციხე-სიმაგრე ბაგრატის ტაძრის ადგილას უნდა ყოფილიყო განლაგებული.

მაგრამ შემდეგდროინდელმა კვლევებმა სხვა რამ აჩვენა - “უქიმერიონი” შესაძლებელია არა თუ უშუალოდ ქუთაისში, არამედ მის შემოგარენში მდგარიყო და ასეთ ძეგლად მოწამეთას მონასტრის ირგვლივ შემორჩენილი ძველისძველი თავდაცვითი ნაგებობის კედლის ნაშთები მიიჩნიეს. ასეა თუ ისე, მიღებული პრაქტიკით “უქიმერიონის გორა” იგივე “არქიელის გორაა”, დღევანდელი ბაგრატის ტაძრის ეზო, სადაც ძალიან ძველი ციხესიმაგრის ნაშთებია შემონახული.

როგორც ქუთათურები იტყვიან, თეთრი ხიდიდან გადაშლილი “უქიმერიონის გორის” ხედი თითქოს დროს აჩერებს და არგონავტების უძველეს ლეგენდას აცოცხლებს. სწორედ

აქ, გადმოცემის თანახმად, მდებარეობდა აია — კოლხეთის მითიური დედაქალაქი, სადაც იასონმა და მისმა თანამგზავრებმა ოქროს საწმისის საძიებლად იმოგზაურეს.

ლეგენდა რეალობას საოცრად ემთხვევა: არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი არტეფაქტები ადასტურებს, რომ ამ ტერიტორიაზე სიცოცხლე დაახლოებით 3500 წლის წინ ჩქეფდა. პოლონეთისა და ისრაელის კვლევით ლაბორატორიებში ჩატარებულმა კვლევებმა კიდევ ერთხელ გამოკვეთა უძველესი ქალაქის კვალი, რომელიც დღევანდელი გასართობი პარკის ტერიტორიასა და მის შემოგარენში იყო განლაგებული.

უქიმერიონის გორის საფორტიფიკაციო მდებარეობა მიუთითებს, რომ აიას შემქმნელებმა თავდაცვისთვის ბუნებრივად მტრისთვის მიუვალი ადგილი შეარჩიეს, ხოლო მდინარე რიონის სიახლოვე ქალაქს ნაოსნობისა და სიმდიდრის წყაროდ აქცევდა.

ოქროს საწმისის ლეგენდა მხოლოდ მითს არ გვიყვება — ის გვესაუბრება კოლხეთზე, როგორც ძლიერ, მდიდარ და კულტურულად განვითარებულ ადგილზე, რომელმაც ბერძნული სამყაროს ყურადღება მიიპყრო და ისტორიაში უკვდავად დარჩა.

ბაგრატის ტაძარი

ბაგრატის ტაძარს თავისი ხუროთმოძღვრული და მხატვრული ღირებულებით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული არქიტექტურის ისტორიაში. ისტორიულად, ბაგრატის ტაძარი გაერთიანებული საქართველოს სიმბოლო გახლავთ.

ბაგრატის ტაძარი აგებულია X-XI საუკუნეების მიჯნაზე, ბაგრატ III-ის მეფობის დროს. ჩრდილოეთ კედლის წარწერის თანახმად “ქ. ოდეს განამტკიცნა იატაკი, ქორონიკონი იყო 223”(1003წ.).

XVII საუკუნის დასასრულამდე ძეგლი უვნებლად იდგა. ბაგრატის ტაძრის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის 1650-52 წლებში იმერეთში ჩამოსული რუსი ელჩების ტოლჩანოვისა და იევლევის ჩანაწერები. მათ მიერ მოხსენიებულია ტაძრის ახლომდებარე ნაგებობები, სამრეკლო კოშკი, რომელიც თითქმის დაუზიანებლად დღემდეა შემორჩენილი და სასახლეები. მათივე ცნობით, ტაძარი დამშვენებული ყოფილა ოქრო-ვერცხლის, იაგუნდისა და სხვა ძვირფასი სამკაულებით მოჭედილი მრავალი უძვირფასესი ხატით. რუსი ელჩები საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ დღესასწაულების დროს მეფე-დედოფალი ამალითურთ დასავლეთის პატრონიკეზე, ე.ი. მეორე სართულზე იმყოფებოდნენ და წირვას ისმენდნენ.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, 1692 წელს ახალციხიდან შემოსულმა ოსმალებმა ხელში ჩაიგდეს ქუთაისის ციხე და გააფთრებული ბრძოლის დროს მასთან ერთად ააფეთქეს ბაგრატის ტაძარიც. მათვე მიიტაცეს მისი სიმდიდრეც. 1740 წლიდან ოსმალებმა, რაც ტაძრისგან გადარჩა, იარაღის საწყობად აქციეს. 1770 წელს იმერეთის მეფემ სოლომონ პირველმა ციხე დაიბრუნა და ბაგრატის ტაძარი ოსმალებისგან გაათავისუფლა.

არქიტექტურული კუთხით ტაძარი ყურადღებას იქცევს მაღალი გუმბათით, მონოლითური კედლებით, მოჩუქურთმებული დეტალებით და გარე ფასადით, რომელიც ერთობლიობაში ქართული შუა საუკუნეების ხელოვნებასა და სულიერ სიმდიდრეს ასახავს. ბუნებრივი შუქი ინტერიერში აღწევს ისე, რომ სივრცეს მონუმენტური სიმძაფრე და სულიერი განწყობა ემატება.

ბაგრატის ტაძარი არის ისტორიული სიმბოლო, რომელიც აერთიანებს სახელმწიფოს, სულიერებასა და კულტურულ ცხოვრებას. იგი გვახსენებს, რომ ქუთაისი იყო პოლიტიკური და კულტურული ცენტრი, სადაც თითოეული არქიტექტურული დეტალი, ფრესკა და გუმბათი ხაზს უსვამდა მის ისტორიულ მნიშვნელობას.

როდესაც ბაგრატის ტაძრისა და იქ მდებარე ქუთაისის დედა ციხის შესახებ ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა ვახსენოთ ის ძველისძველი წყარო, წყარონაგებობა, რომელიც ციხესიმაგრესა და ტაძარს ამარაგებდა სასმელი წყლით. "ხორხის" მთის კლდოვანი ფერდობის ოდნავ გავაკებაზე, კლდოვანი ფერდობის ქვეშ, ქვით ამოყვანილი წყარონაგებობაა მოწყობილი, შელესილია დუღაბით და წყაროს წყალი ზემოთ თიხის მილებით, ზიარი წყლის ჭურჭლის პრინციპითაა აყვანილი. ეს ნაგებობა მე-10 საუკუნემდე უნდა იყოს შექმნილი, რაც მნახველზე ძალიან დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

1900-იანი წლების ფოტოები, როგორი იყო ძველი ბაგრატის ტაძარი ამ პერიოდში:

„ოქროს ჩარდახი“ - იმერეთის მეფეების რეზიდენცია

თეთრი ხიდის ჩრდილოეთით, რიონის მარცხენა სანაპიროზე, შემორჩენილია იმერეთის სამეფო კომპლექსის ერთადერთი გადარჩენილი ნაგებობა - ოქროს ჩარდახი. სამეფო რეზიდენციის დანარჩენი შენობები დროის ქვეშ მოექცა და მიწამ დაფარა. დღეს მხოლოდ მათი მცირე ნაწილი ნანგრევების სახით ჩანს მდინარის ნაპირთან.

ქუთაისის არქივში დაცულია იტალიელი მოგზაურის ამბროზიო კონტარინის ჩანაწერები, რომელთა მიხედვითაც ირკვევა, რომ ამ ადგილას იმერეთის მეფეთა რეზიდენცია ჯერ კიდევ XV საუკუნეში არსებობდა. არქივში, ასევე, შემონახულია XVIII საუკუნის ნახაზი, რომელიც გვიჩვენებს, რომ რეზიდენციის ტერიტორიაზე, რიონის სიახლოვეს, განთავსებული იყო აბანო და სამეფო კარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. რეზიდენცია იკავებდა ვრცელ სივრცეს - დღევანდელი თეთრი ხიდიდან დავით აღმაშენებლის მოედნამდე.

1810 წელს, რუსეთის ექსპანსიის შემდეგ, იმერეთის სამეფომ არსებობა შეწყვიტა, ხოლო დასავლეთ საქართველოს «Кутаисская губерния» (ქუთაისის გუბერნია) ეწოდა. სამეფო რეზიდენციის ადგილი რუსულმა სამხედრო ინფრასტრუქტურამ დაიკავა - გაჩნდა ყაზარმები, სასადილოები, საწყობები და ცხენებისთვის განკუთვნილი თავლები. ტერიტორია რუსეთის სახაზინო საკუთრებად გამოცხადდა.

ოქროს ჩარდახმა გაუძლო დროს და დღეს ჩუმად გვიყვება იმერეთის რეფორმატორ მეფეებისა და თავისუფლებისთვის მებრძოლი მოსახლეობის ისტორიას. რიონის სანაპიროზე მდგარი ეს კოხტა ნაგებობა ადგილს უნიკალურ ავთენტურ იერს სძენს და წარსულის ხმას დღემდე ინახავს.

დიუბუა დე მონპერეს მიერ შექმნილ მე-19 ს.ის დასაწყისის ქუთაისის გეგმაზე ასახულია “ოქროს ჩარდახის” ადგილსამყოფელიც, ამ ადგილში მეფის სასახლის გარდა იმყოფებოდა კარის ეკლესია და სამრეკლო კოშკი...



36. მეფის ძირითადი შენობები (სასახლე).

37. “ოქროს ჩარდახი” (სასახლე).

38. კარის ეკლესია.

39. სამრეკლო კოშკი.

ტიციანი და პაოლო - ცისფერყანწელების ქუთაისი

თეთრი ხიდიდან პუშკინის ქუჩისკენ მიმავალ გზაზე პაოლოსა და ტიციანის სკულპტურები გხვდება. „ცისფერყანწელთა“ ორდენის ორი თვალსაჩინო წარმომადგენელი თავიანთი ცხოვრების ამაღელვებელ და, ამავდროულად, მეტად ტრაგიკულ ისტორიებს გვახსენებს.

ევროპული (ცისფერი ფერი) და ქართული (ყანწი) იდენტობების ერთობა „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებისა და ცხოვრების ერთ-ერთ მთავარ იდეას წარმოადგენდა.

„ცისფერყანწელთა“ ორდენი, ქართული სიმბოლისტური ლიტერატურული გაერთიანება, 1915 წელს ქუთაისში ახალგაზრდა მწერლებმა დაარსეს. ჯგუფი მიზნად ისახავდა ქართული პოეზიის ევროპეიზაციას, სიმბოლიზმის პრინციპების დამკვიდრებას და ფორმითა და შინაარსით ახალი, თავისუფალი ხელოვნების შექმნას, რითაც რევოლუცია მოახდინეს ლიტერატურულ პროცესებში.

რიონის პირას, თეთრი ხიდის გვერდით მდებარე კაფე „იალტა“ „ცისფერყანწელების“ საყვარელი თავშეყრის ადგილი იყო. კაფე, რომლის არსებობაც მხოლოდ რამდენიმე გახუნებულმა ფოტომ შემოგვინახა.



კლასიკური გიმნაზია

ფეოდალური ქუთაისის დასასრული და ახალი ეპოქის დასაწყისი ქალაქის ცხოვრებაში განსაკუთრებით ნათლად განათლებაში აისახა. ქუთაისის კლასიკური გიმნაზია - ადგილი, სადაც ქალაქის ისტორია ეპოქების მიჯნაზე გადაიკვეთა. განვითარების ახალი ეტაპი ხომ სწორედ განათლებიდან იწყება.

ქუთაისის კლასიკური გიმნაზია XIX საუკუნის მიწურულს დაარსდა. შენობის ავტორია არქიტექტორი ლუკაშევი. მაღალი დონის არქიტექტურა თვალშისაცემია როგორც ექსტერიერში, ისე ინტერიერში, რაც გიმნაზიას ქალაქის ერთ-ერთ გამორჩეულ ნაგებობად აქცევს.

გიმნაზია სწრაფად იქცა რეგიონის პირველ ძლიერ საგანმანათლებლო ცენტრად. აქ სწავლობდნენ ახალგაზრდები ქუთაისისა და მის შემოგარენში მდებარე რაიონებიდან.

სწავლება მხოლოდ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, ხოლო ქართული ენის გამოყენება იკრძალებოდა. თავდაპირველად მასწავლებელთა უმრავლესობა რუსი იყო, ხოლო მოსწავლეები, განსაკუთრებით დაბალ კლასებში, რუსულ ენას სუსტად ფლობდნენ. ეს გარემოება მნიშვნელოვან სირთულეებს ქმნიდა და ხშირად ქართველ მოსწავლეთა დაცინვისა და დამცირების მიზეზიც ხდებოდა.

ამგვარმა დამოკიდებულებამ გააძლიერა ეროვნული წინააღმდეგობის მუხტი. 1904 წლის 3 თებერვალს კლასიკური გიმნაზიისა და რეალური სასწავლებლის მოსწავლეთა ინიციატივით ქუთაისში გაიმართა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული მოსწავლე-ახალგაზრდობის პირველი პოლიტიკური დემონსტრაცია.

ქუთაისის კლასიკურმა გიმნაზიამ განსაკუთრებული როლი შეასრულა საქართველოს საზოგადოებრივი მოძრაობის განვითარებაში. სწორედ აქ აღიზარდა სახალხო განათლების, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნებისა და რევოლუციური მოძრაობის არაერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი.

შთამბეჭდავია იმ ადამიანთა სია, რომლებმაც ეს გიმნაზია დაამთავრეს და შემდგომში თავიანთი მოღვაწეობით ქართული კულტურისა და მეცნიერების ისტორია შექმნეს. მათი სახელების ამოკითხვა დღეს გიმნაზიის სამახსოვრო დაფაზეა შესაძლებელი.

აკაკი წერეთელი,

ნიკო ნიკოლაძე,

კირილე ლორთქიფანიძე,

სერგეი მესხი,

დიმიტრი ნაზარიშვილი,

ექვთიმე თაყაიშვილი,

ნიკო მარი,

აკაკი შანიძე,

შალვა ნუცუბიძე,

სილოვან ხუნდაძე,

იოსებ ოცხელი,

დიმიტრი უზნაძე,

სიმონ ყაუხჩიშვილი,

ანგია ბოჭორიშვილი,

ტიციან ტაბიძე,

პაოლო იაშვილი,

დავით კაკაბაძე,

ნიკო ლორთქიფანიძე,

ლეო ქიაჩელი,

კოტე მესხი,

ვლადიმერ მაიაკოვსკი,

შალვა ღამბაშიძე,

უშანგი ჩხეიძე,

აკაკი ხორავა

და სხვები.

...

კლასიკურმა გიმნაზიამ ქალაქს არაერთი გამორჩეული მოაზროვნე, მწერალი და საზოგადო მოღვაწე აღუზარდა. ყურადღებას იმსახურებს ვლადიმერ მაიაკოვსკი, რომელიც ბავშვობის წლებში სწორედ ქუთაისში ცხოვრობდა და ამ გიმნაზიაში სწავლობდა. მიუხედავად იმისა, რომ მაიაკოვსკი მოგვიანებით რუსული ავანგარდის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ პოეტად იქცა, მისი ფორმირება მნიშვნელოვანწილად სწორედ ქუთაისის მრავალფეროვან, ინტელექტუალურ და კულტურულ გარემოს უკავშირდება.

ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ ქუთაისი არ იყო მხოლოდ „ყველაზე ქართული ქალაქი“, არამედ იყო სივრცე, სადაც განსხვავებული იდეები, კულტურები და მომავლის დიდი სახელები იკვეთებოდა.

დღეს სკოლა აკაკი წერეთლის სახელს ატარებს და ქართული ტალანტების მემორიალია - ადგილი, სადაც განათლება, თავისუფალი აზრი და ეროვნული თვითშეგნება ერთმანეთს შეხვდა.

ილო ფოტოგრაფი



1971 წელს ქუთაისელ ებრაელთა მასობრივი ალია დაიწყო. ქალაქი ებრაული მოსახლეობის თითქმის 60%-მა დატოვა, თუმცა, ფოტოგრაფი ილო ხახიაშვილი ქალაქში დარჩა. როდესაც ეკითხებოდნენ, რატომ არ მიდიოდა, ქუთაისელებს ღიმილით პასუხობდა:

„თქვენც წამოდით და წავალ... მარტო -არა.“ მადლიერმა ქალაქმა ეს ერთგულება უდიდესი სიყვარულით დაუფასა და ილოს ძეგლი დაუდგა სწორედ იმ ადგილას, სადაც ის მუშაობდა -კლასიკური გიმნაზიის გვერდით, ყოფილი მასწავლებელთა სახლის შენობის კიბის ქვეშ.

ილო ხახიაშვილი 1935 წლის 16 აგვისტოს დაიბადა. მწირი ბიოგრაფიული მონაცემებიდან ცნობილია, რომ ახალგაზრდობაში ძველ ებრაელ ფოტოგრაფთან მუშაობდა შეგირდად. მოგვიანებით ჯარში წავიდა, დაბრუნების შემდეგ კი, 1940–50-იან წლებში, ფოტოგრაფობა დაიწყო.

მისი გადაღებული ფოტოები თითქმის ყველა ქუთაისელის საოჯახო ალბომში მოიძებნება. ილოს ნამუშევრებმა შთამომავლობას ქალაქის საუკეთესო შვილთა სახეები, ხასიათები და ეპოქის სული შეუნახა. სიცოცხლის ბოლომდე ძველი ფოტოაპარატით მუშაობდა - სწორედ ამ აპარატთან ერთად არის წარმოდგენილი მისი სკულპტურაც.

ყველაზე საინტერესო ილოს პიროვნებაში მისი განსაკუთრებული მიზიდულობის ძალა იყო. კიბის ქვეშ განთავსებულ პატარა ფოტოსტუდიაში, რომელსაც ქუთაისელები სიყვარულით „ილოს ხუხულას“ უწოდებდნენ, შეხვდებოდით ცნობილ პოეტებს, მწერლებს, მსახიობებს, მომღერლებს და უბრალო მოქალაქეებს.

წოდებას მნიშვნელობა არ ჰქონდა - ილო ყველას ერთნაირი სიყვარულითა და სითბოთი ეპყრობოდა. დაჯილდოებული იყო გამორჩეული იუმორის გრძნობით, რაც ქუთაისში განსაკუთრებულად ფასობს. ილო ხახიაშვილი 45 წელზე მეტხანს მუშაობდა ერთსა და იმავე პატარა სახელოსნოში. ქვრივებს, ობლებსა და გაჭირვებულებს უფასოდ უღებდა ფოტოებს და იმდენ სიკეთეს თესავდა, რომ იმ თანხით მთელ ქუჩას იყიდდა კაცი. რეზო გაბრიაძის ცნობილი პერსონაჟი „ჩიტი ბორია“ სწორედ ილოს შთაგონებით არის შექმნილი.

ილო ფოტოგრაფი 2002 წელს გარდაიცვალა. უკანასკნელ გზაზე მას მთელი ქუთაისი აცილებდა. ცოტა ხანში კი ფოტოსახელოსნოს წინ მისი ძეგლი დაიდგა - როგორც ამბობენ, ეს მსოფლიოში ერთადერთი ძეგლია, რომელიც ქალაქმა ფოტოგრაფს მიუძღვნა, თუმცა, ქუთაისში მას კაცური კაცობისთვის და ქართულ-ებრაული უერთიერთობისთვის დადგმულ ძეგლად აღიქვამენ.

რადიუმი და მონპლაზირი

XX საუკუნის დასაწყისში ქუთაისი ერთ-ერთ მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრად იქცა, სადაც ევროპული სიახლეები სწრაფად იკიდებდა ფეხს. სწორედ ამ პერიოდში ქალაქში გაჩნდა კინო - ახალი და შთამბეჭდავი ხელოვნება, რომელმაც მთლიანად შეცვალა საზოგადოების კულტურული ცხოვრება.ქუთაისის ერთ-ერთი პირველი კინოდარბაზი იყო „მონპლაზირი “, სადაც გაიმართა პირველი კინოჩვენებები. იმდროინდელი მაყურებლისთვის კინო ნამდვილ სასწაულს წარმოადგენდა — მოძრავი გამოსახულებები ეკრანზე, რაც მანამდე წარმოუდგენელი იყო. „მონპლაზირი“ გახდა ადგილი, სადაც ქალაქის მოსახლეობა ეცნობოდა ახალ ხელოვნებას და თანამედროვე ევროპულ კულტურას.

1911 წელს კი გაიხსნა კინო „რადიუმი“, რომელიც ძმები ოცხელების სახლში განთავსდა. იგი მალე იქცა ქუთაისის კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრად. აქ ფუნქციონირებდა კინოთეატრი და კაფე, სადაც იკრიბებოდა ქალაქის ინტელიგენცია, ხელოვანები და საზოგადო მოღვაწეები. „რადიუმი“ იყო სივრცე, სადაც ერთმანეთს ხვდებოდა ხელოვნება, საზოგადოებრივი ცხოვრება და ახალი იდეები.

ამ კულტურულ გარემოში მოღვაწეობდა ვასილ ამაშუკელი - ქართული კინოს ერთ-ერთი ფუძემდებელი. სწორედ ამ პერიოდში გადაიღო მან პირველი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ (1912), რომელიც დღეს ქართული კინოს ერთ-ერთ პირველ შედევრად ითვლება.

ამ ყველაფერმა ქუთაისი აქცია ადგილად, სადაც კინო არა მხოლოდ გაჩნდა, არამედ დაიწყო მისი განვითარება როგორც ხელოვნების და ისტორიის გადმოცემის საშუალება. „მონპლაზირი“, „რადიუმი“ და ვასილ ამაშუკელი ერთად გვიყვებიან ისტორიას იმ ეპოქაზე, როცა ქუთაისი გახდა ქართული კინოსა და თანამედროვე კულტურის ერთ-ერთი საწყისი ცენტრი.

საბა კლდიაშვილის სკვერი

მერიის გვერდით, იქ სადაც ადრე სასაფლაო და საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დანგრეული მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია იყო, დღეს საბჭოთა პერიოდში შექმნილი შრომის დიდების მემორიალი დგას. აღნიშნული სკვერი რამდენიმე წელია საბა კლდიაშვილის სახელს ატარებს.

საბა (ალექსანდრე კლდიაშვილი) იყო ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა, რომლის ისტორიაც ჰუმანიზმისა და სიმამაცის მაგალითია, როცა ადამიანი დგას დაჩაგრულთა დასაცავად მიუხედავად მისი რელიგიური თუ ეთნიკური წარმომავლობისა.

საბა კლდიაშვილი იყო ახალგაზრდა ქართველი მეცნიერი და დოცენტი, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში ცხოვრობდა და მუშაობდა ქალაქ ოდესაში - მაშინდელი რუსეთის იმპერიის მნიშვნელოვან კულტურულ და აკადემიურ ცენტრში.

1905 წელს, ქვეყანაში დაწყებული რევოლუციური არეულობის ფონზე, ოდესაში მოხდა ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი ანტისემიტური ძალადობა - ე.წ. ოდესის პოგრომი. ქუჩებში შეიარაღებული ბრბოები თავს ესხმოდნენ ებრაულ მოსახლეობას, ანადგურებდნენ სახლებსა და მაღაზიებს.

სწორედ ამ მძიმე დროს, საბა კლდიაშვილმა ღიად დაგმო ძალადობა. მან შეკრიბა ქართველი სტუდენტები, რათა დაეცვათ უდანაშაულო ადამიანები. კლდიაშვილი თავადაც ჩაერთო წინააღმდეგობაში, მაგრამ შეტაკებისას იგი ცეცხლსასროლი იარაღით დაიჭრა და მალევე გარდაიცვალა.

საბა კლდიაშვილის ისტორია გვახსენებს, რომ ადამიანობა არ იცნობს ეროვნებასა და რელიგიას.

გვეუბნება, რომ ზოგჯერ ყველაზე დიდი გმირობა არის სხვისი დაცვისთვის საკუთარი სიცოცხლის გაღება და ამიტომაც ის დარჩა ისტორიაში, როგორც ადამიანი, რომელმაც სიცოცხლე გაწირა სხვების გადასარჩენად.

ოდესიდან გადმოსვენებული საბა მთავარანგელოზის ეკლესიის ეზოში დაკრძალეს, მაგრამ სასაფლაოს და ეკლესიის დანგრევის შემდეგ მისი ნეშტი საფიჩხიის სასაფლაოზე გადაასვენეს.

მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია ერთ-ერთი ძველი საკულტო ნაგებობა იყო ქალაქში. მის გარშემო განთავსებული სასაფლაო კი ბევრი ცნობილი ქუთაისელის სამუდამო განსასვენებელს წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ, ეს ადგილი არა მხოლოდ რელიგიური, არამედ ისტორიული მნიშვნელობის სივრცეც იყო - ქალაქის მეხსიერების ნაწილი. აქ იყო დაკრძალული ერთ-ერთი ცისფერყანწელი შალვა კარმელი (გოგიაშვილი), რომელიც ასევე ახლობლების მიერ საფიჩხიაზე იქნა გადასვენებული.

ბულვარი

საბა კლდიაშვილის სკვერის მოპირდაპირე მხარეს ქუთაისის ბულვარის ხედი იშლება. ეს ტერიტორია ადრე სამეფო რეზიდენციის კომპლექსის შემადგენლობაში შედიოდა. მოგვიანებით კი ბულვარად გადააკეთეს და ქალაქის ცხოვრების საკუთარი ტრადიციები შექმნა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ქართული ინტელიგენციის ისტორიას უკავშირდება.

რუსეთის იმპერიის ხელისუფლება დაინტერესებული იყო ქუთაისის ინფრასტრუქტურის განვითარებით. ამის ერთ-ერთი საფუძველი მეფის რუსეთის მოხელეთა და მათი ოჯახების მოთხოვნა გახდა - მათ დასვენებისა და განტვირთვისთვის საჭირო სივრცე სურდათ. სწორედ ამიტომ 1848 წელს ქუთაისში გაჩნდა ბულვარი.

ამ პროცესში გამორჩეული როლი შეასრულა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა ალექსი გაგარინმა. მისი ერთ-ერთი მთავარი მიზანი ქალაქის გამწვანება იყო, რაც არ იყო რთული ამოცანა, რადგან ქუთაისი ისედაც მწვანეში იყო ჩაფლული. ვიცე-გუბერნატორის პეტრე გნილოსაროვის სიტყვებით, „ქუთაისში ფანქარს თუ გადააგდებ, უკან მოიხედავ და ფანქრის ტყე დაგხვდება.“

ბულვარის გაჩენამდე ქუთაისში არსებობდა „ივანე აბაშიძის ბაღი“, რომელსაც ასევე „საუფლისწულო ბაღს“ უწოდებდნენ. თავდაპირველად იგი იმერეთის მეფე სოლომონ I-ს ეკუთვნოდა, რომელმაც ბაღი ქალიშვილს დარეჯან დედოფალს აჩუქა, მისი ქაიხოსრო აბაშიძეზე გათხოვების შემდეგ. მათი შვილი, ივანე აბაშიძე კი ამ ტერიტორიის მემკვიდრე გახდა.

ბაღი თანამედროვე მესამე სკოლის ტერიტორიიდან იწყებოდა და 2249 კვ. საჟენს (დაახლოებით 4800 კვ. მეტრს) მოიცავდა. ეს იყო ე.წ. აღმოსავლური ბაღი — ხეხილითა და დეკორატიული მცენარეებით გაშენებული. მას დასასვენებლად რუსი ჯარისკაცებიც და მათი ოჯახებიც იყენებდნენ. ივანე აბაშიძის ბაღი დასავლეთ ამიერკავკასიაში პირველი საზოგადოებრივი დანიშნულების ბაღი იყო.

სოლომონ I-ის შვილიშვილი და აკაკი წერეთლის ბაბუა ივანე აბაშიძე 1819–1820 წლების აჯანყების ერთ-ერთი მეთაური იყო. ბუნებრივია, რუსეთის იმპერიას არ სურდა, რომ საზოგადოებრივი სივრცის სახელწოდება დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ პიროვნებასთან ყოფილიყო დაკავშირებული. პოლკოვნიკ ბორის გორჩაკოვის ინიციატივით ბაღი რუსული სამხედრო უწყების დაქვემდებარებაში გადავიდა, ფუნქცია დაკარგა და საბოლოოდ წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებლის დაარსებისას განადგურდა. ამგვარად, ივანე აბაშიძის სახელი საბოლოოდ ჩამოშორდა ტერიტორიას, ხოლო საზოგადოებრივი ბაღის ფუნქცია ახალმა ბულვარმა იტვირთა.

ფრანგული სახელწოდება „ბულვარი“ იმდროინდელი ქუთაისისთვის სრულიად ორგანული იყო. ფრანგული გავლენა იგრძნობოდა ცხოვრების წესში, ჩაცმულობაში, კინოთეატრების სახელწოდებებში. ფრანგული ენის ცოდნა პრესტიჟულად ითვლებოდა.

ბულვარი მალევე იქცა ქალაქის ყველაზე პოპულარულ და დემოკრატიულ ადგილად. აქ იკრიბებოდა ყველა - გლეხი, თავადი, აზნაური, მღვდელი, ვაჭარი. ვისაც ქუთაისის ცხოვრება აინტერესებდა, ბულვარში უნდა მისულიყო.

აქ განიხილავდნენ გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ სტატიებს, იმართებოდა დებატები და მსჯელობები. ბულვარს ხშირად „ღია პარლამენტსაც“ ადარებდნენ. ბულვარი იქცა თავადაზნაურთა წინამძღოლის, ბანკის დირექტორისა და საზედამხედველო კომიტეტის არჩევნების მთავარ სივრცედ.

აქ შეხვდებოდით პეტერბურგიდან არდადეგებზე ჩამოსული სტუდენტებს, კირილე ლორთქიფანიძეს და მის მხარდამჭერებს, ებრაელ ვაჭრებს, რომლებიც ქართველ თავადაზნაურებთან ფინანსურ საკითხებს განიხილავდნენ. ამბობენ, რომ აკაკის რიონის მხრიდან უყვარდა ბულვარში მისვლა, ის მთელ ბულვარს შემოუვლიდა და ყველას მოინახულებდაო.

ბულვარი საუკეთესო ადგილი იყო ახალგაზრდებისთვის რომანტიკული ურთიერთობების დასაწყებად.

ქუთაისის სტუმრები თავს ვალდებულად თვლიდნენ, ბულვარში გაესეირნათ. გურულებს, მეგრელებსა და რაჭველებს თავიანთი რჩეული ადგილები ჰქონდათ. საღამოობით ისინი სიმღერას იწყებდნენ და როგორც „დროება“ წერდა, „მათ მოსმენას არაფერი სჯობდაო“. იგი იყო ერთგვარი ცოცხალი თეატრი. აქ განიხილებოდა ქალაქის ყველაზე პრაქტიკული პრობლემებიც, მათ შორის, წყლის მომარაგების საკითხები.

1888 წელს ქუთაისს რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III ეწვია. მის პატივსაცემად ბულვარში პოლონელი ინჟინრის ლენჩევსკის პროექტით ქართული ორნამენტებით შემკული მავრიტანული ტიპის როტონდა აშენდა. მოგვიანებით, 1892–1894 წლებში, კოტე მესხმა და ნიკო გამრეკელმა აქ თეატრი განათავსეს, თუმცა, 1894 წელს შენობა ხანძარმა გაანადგურა. 1892 წელს ბულვარში საჩაიე გაიხსნა გენერალ-გუბერნატორ შალიკოვის (შალიკაშვილის) ინიციატივით, რომელიც ღარიბ მოსახლეობასაც ემსახურებოდა.

ქუთაისის ბულვარს უკავშირდება „ლაღიძის წყლების“ ბრენდის ისტორიაც. 1900 წელს მიტროფანე ლაღიძემ უალკოჰოლო სასმელების მაღაზია ქუთაისის ბულვართან გახსნა. პირველად სასმელი ბულვარის სტუმრებმა დააგემოვნეს.

1908 წლის კარიკატურა

კლასიკური, ურბანული და ალტერნატიული მუსიკის ქალაქი

ქუთაისი არ არის მხოლოდ საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი, ის მრავალი გამორჩეული მუსიკოსისა და შემოქმედის სამშობლოა, რომლებმაც ქართული მუსიკის ისტორია შექმნეს. ქალაქის მუსიკალური იდენტობა დღესაც ცოცხლობს კლასიკურ, ურბანულ და ალტერნატიულ სცენებზე. ქალაქის მუსიკალური ისტორიის მთხრობელია ბულვარში არსებული ძეგლებიც, რომლებიც ორგანულად განთავსდნენ ქალაქის მთავარ რეკრეაციულ ზონაში.

კლასიკური მუსიკის ქუთაისი

ქუთაისი არის ისეთი დიდი კომპოზიტორების სამშობლო, როგორიცაა:

ზაქარია ფალიაშვილი - ქართული კლასიკური მუსიკის ფუძემდებელი და ეროვნული ოპერის შემქმნელი. იგი კათოლიკურ უბანში მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა. ზაქარია ბავშვობიდან კათოლიკური ეკლესიის გუნდში მღეროდა და აქ დაეუფლა პირველად მუსიკალურ განათლებას.

მელიტონ ბალანჩივაძე - კომპოზიტორი და საზოგადო მოღვაწე. მის სახელს ატარებს ქუთაისის ოპერის თეატრი, რომელიც 1969 წელს გაიხსნა. მელიტონ ბალანჩივაძე არის ჯორჯ ბალანჩინის წინაპარი, რომელიც ამერიკული საბალეტო სკოლის ფუძემდებელია.

ქალაქური მუსიკა

ქალაქის მუსიკალურ ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ლეგენდარულ დები იშხნელების ვოკალურ კვარტეტს, რომელთა უნიკალურმა მრავალხმიანობამ და საშემსრულებლო სტილმა ქართული ქალაქური და საესტრადო სიმღერის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. მათი შემოქმედება ქუთაისის მუსიკალურ სულს და ქალაქურ სენტიმენტს საუკეთესოდ ასახავს.

ურბანული მუსიკა და თანამედროვე ხმა

თანამედროვე ქუთაისი ახალგაზრდული და დინამიკური ქალაქია, სადაც ურბანული მუსიკა ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად იქცა. ჰიპ-ჰოპი, რეპი და ელექტრონული მუსიკა აქტიურად ვითარდებოდა და ქალაქის სოციალურ მაჯისცემას გამოხატავდა.

ქუთაისის თანამედროვე ურბანული მუსიკის სცენას მკაფიოდ წარმოაჩენენ რობი კუხიანიძე და ჯგუფი Outsider. რობის მუსიკა ქალაქში არსებული რეალობის, პირადი გამოცდილებისა და ემოციური გულწრფელობის გამოხატულება იყო და არის, ხოლო Outsider ქუთაისის ჰიპ-ჰოპ სცენის ავთენტურ და არაკონფორმისტულ ხმას წარმოადგენდა -სოციალური თემებით, მკვეთრი ტექსტებითა და დამოუკიდებელი აზროვნებით. მათი შემოქმედება ქუთაისის თანამედროვე, ცოცხალ და ალტერნატიულ მუსიკალურ პულსს ასახავს.

ქუთაისი არის ქალაქი, სადაც ფალიაშვილის კლასიკური მემკვიდრეობა, დები იშხნელების ქალაქური რომანტიკა, ახალგაზრდული ურბანული ენერგია და თანამედროვე ალტერნატიული ხმა ერთ მთლიან კულტურულ პეიზაჟად ერთიანდება.

წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებელი

საბა კლდიაშვილის სკვერის მარჯვენა მხარეს წმინდა ნინოს ქუჩაზე ქუთაისში ერთ-ერთი გამორჩეული შენობაა - მე-3 საჯარო სკოლა, რომელსაც საინტერესო ისტორია აქვს და თავიდანვე საგანმანათლებლო ფუნქციას ატარებდა. 1847 წლის 14 მაისს წმინდა ნინოს ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების ინიციატივით და ქუთაისის გუბერნატორის მეუღლის მარიამ ესპეხოს მონაწილეობით ქალთა სასწავლებელი დაარსდა. ამ პროცესში მნიშვნელოვანი ფინანსური მხარდამჭერი კავკასიის მეფისნაცვლის ვორონცოვის მეუღლე ელიზავეტა იყო, რომელიც საკუთარი ხარჯებით შეუერთდა იდეას.

თავდაპირველად სასწავლებელი ოლღას სახელს ატარებდა. 1876 წელს, კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ ნიკოლოზის ძის ვიზიტთან დაკავშირებით იგი გიმნაზიად გადაკეთდა, რომელიც უფრო ფართო განათლების შესაძლებლობებს სთავაზობდა მოსწავლეებს. 1889 წელს გიმნაზიას დაუბრუნდა თავისი ისტორიული სახელი - წმინდა ნინო. სასწავლებლის შენობის პროექტი მოგვიანებით, 1899 წელს შეადგინა ინჟინერმა ფონ-შულცმა.

ეს სასწავლებელი იყო ერთ-ერთი პირველი წინგადადგმული ნაბიჯი ქალთა განათლების განვითარების მიმართულებით დასავლეთ საქართველოში. დღეს იგი ფუნქციონირებს როგორც საჯარო სკოლა. სასწავლებლის კურსდამთავრებულთა შორის არიან გამორჩეული პიროვნებები, მათ შორის ვერიკო ანჯაფარიძე, ანა კალანდაძე, რაც ხაზს უსვამს მის კულტურულ და საგანმანათლებლო მნიშვნელობას.

დღეს ეს შენობა არა მხოლოდ სასწავლებელია, არამედ ქუთაისის კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც ინახავს ქალთა განათლების განვითარებისა და ქალაქის ინტელექტუალური ცხოვრების ისტორიას.

ქუთაისის წმინდა ნინოს ქალთა გიმნაზია იყო არა მხოლოდ განათლების, არამედ ქალთა მოძრაობის განვითარების ეპიცენტრი XX საუკუნის დასაწყისში. აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრების 5 წევრი ქალიდან სამი სწორედ ქუთაისის ქალთა გიმნაზიის კურსდამთავრებული იყო.

იმ პერიოდში ქუთაისი ნამდვილად წარმოადგენდა ქალთა განათლებისა და უფლებების ცენტრს. მოძრაობის გამორჩეულმა ფიგურებმა, როგორებიც იყვნენ კატო მიქელაძე, ჩიტო შარაშიძე, მარიამ ყაუხჩიშვილი და მინადორა ორჯონიკიძე, ქვეყნის ისტორიის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს.

იმდროინდელი ქართული პრესა, განსაკუთრებით გაზეთი „კოლხიდა“, აქტიურად აშუქებდა დისკუსიას ქალთა როლზე. ქალებმა არჩევანი განათლების ამაღლებაზე გააკეთეს, რაც ხაზს უსვამს გიმნაზიის ზეგავლენას იმდროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

ქუთაისის წმინდა ნინოს გიმნაზია გახდა ქალთა განათლების, სამოქალაქო აქტივიზმისა და კულტურული ლიდერობის სიმბოლო, რომლის გავლენა დღემდე იგრძნობა ქართულ საზოგადოებაში და კულტურულ მემკვიდრეობაში.

დაახლოებით 1910-იან წლებში, ალექსანდრა (საშა) ჩიქოვანის ინიციატივით, გაჩნდა იდეა ევროპაში არსებული ტრადიციის ქუთაისში გადმოტანისა, რაც მიზნად ისახავდა შეჭირვებული ადამიანების დახმარებას. ასე ჩაეყარა საფუძველი გვირილობას, რომლის მთავარი მიზანი ტუბერკულოზით დაავადებულთა დახმარება იყო. მათ გაბედეს ახალი, შემოქმედებითი მიდგომა - გვირილების გაყიდვა ქველმოქმედებისათვის.

ეს ინიციატივა მალე გადაიქცა ქველმოქმედების, სამოქალაქო აქტივიზმისა და ქალთა გაძლიერების სიმბოლოდ, რადგან ის აერთიანებდა განათლებას, სოციალურ პასუხისმგებლობასა და კულტურას. მოგვიანებით გვირილობამ ქალაქის დღის აღნიშვნის სახე შეიძინა.

ქუთაისის ცენტრალური მოედანი - დროის სარკე

ქუთაისის ცენტრალური მოედანი ქალაქის ისტორიისა და ურბანული განვითარების ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია. საუკუნეების განმავლობაში ამ სივრცემ არაერთხელ შეიცვალა იერსახე და ყოველთვის ასახავდა კონკრეტული ეპოქის პოლიტიკურ, კულტურულ და არქიტექტურულ ხედვას.

მე-19 საუკუნეში, რუსეთის იმპერიის პერიოდში, მოედანი ქალაქის ადმინისტრაციულ ცენტრად ჩამოყალიბდა. ამ დროს აიგო კლასიკური და ეკლექტიკური სტილის შენობები, რომლებიც ევროპული ქალაქგეგმარების გავლენას განიცდიდა. მოედნის ირგვლივ განთავსდა ბანკები, სასტუმროები, სავაჭრო სახლები და ადმინისტრაციული ნაგებობები, რომელთა ნაწილი დღემდე ინარჩუნებს ისტორიულ იერსახეს.

ქუთაისის სობორო

გასაბჭოებას ქუთაისში არსებული რამდენიმე ეკლესია შეეწირა. მათ შორის იყოს სობორო.

ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარი მე-19 საუკუნის ბოლოს აშენდა და ქალაქის ცენტრალურ მოედანზე მთავარ არქიტექტურულ ნაგებობას წარმოადგენდა. ტაძარი რუსული იმპერიული სტილის მნიშვნელოვანი ნიმუში იყო და ქუთაისის სულიერ და ურბანულ ცხოვრებაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებდა.

1930-იან წლებში, საბჭოთა ანტირელიგიური პოლიტიკის ფარგლებში, სობორო განზრახ დაანგრიეს. მისი ნგრევა სიმბოლურად ასახავდა ეპოქას,როცარელიგიურინაგებობებიიდეოლოგიურ მიზეზთა გამო ქალაქის სივრციდან იშლებოდა. დღეს სობოროს ადგილზე ქუთაისის ცენტრალური მოედანია, რომელიც ქალაქის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე დრამატულ ფენას ინახავს.

საბჭოთა პერიოდში ცენტრალურმა მოედანმა ახალი ფუნქცია შეიძინა - ის მასობრივი შეკრებების, აღლუმებისა და საზოგადოებრივი ღონისძიებების მთავარ სივრცედ იქცა. არქიტექტურაში გაჩნდა მონუმენტურობა, გამწვანებული ზონები და ფართო ღია სივრცეები, რაც საბჭოთა ურბანული დაგეგმარებისთვის იყო დამახასიათებელი.

ბელადომანია

სობოროს დანგრევის შემდეგ ქუთაისის ცენტრალურ მოედანზე ვლადიმერ ლენინის ძეგლი დაიდგა, რომლის ავტორი ქართველი მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე იყო. ეს მონუმენტი საბჭოთა პერიოდისთვის დამახასიათებელი სტილის ნიმუშს წარმოადგენდა.

მოგვიანებით, ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით ძეგლი სტალინის გრანდიოზული ქანდაკებით ჩაანაცვლეს. 1940-იან წლებში დადგმული ძეგლი 1956 წლის შემდეგ, ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ დაწყებული დესტალინიზაციის პროცესის ფარგლებში, ქუთაისის ცენტრალური მოედნიდან აიღეს.

კოლხური შადრევანი

2011 წლიდან მოედანს „კოლხური შადრევანი“ ამშვენებს, რომლის ავტორი ქართველი არქიტექტორი დავით გოგიჩაიშვილია. შადრევანი შთაგონებულია კოლხური ოქროს საგანძურით და ძველი საქართველოს მითოლოგიური სიმბოლოებით, რაც მოედანს თანამედროვე და, ამავე დროს, ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებს.

მესხიშვილის თეატრი

ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსენებლობა 1939 წელს დაიწყო და 1955 დასრულდა. პროექტი არქიტექტორ მიხეილ შავიშვილს ეკუთვნოდა. თავდაპირველად პროექტი გაცილებით მასშტაბური იყო, მაგრამ მოსკოვიდან მიღებული უარყოფითი მითითების შემდეგ ავტორებს მისი გადაკეთება მოუწიათ. შენობა კლასიკურ სტილშია გადაწყვეტილი და გამოირჩევა ოვალური ფორმით, რაც მას უნიკალურ ვიზუალურ იერს აძლევს ქალაქის ცენტრში.

შენობის მშენებლობა მიმდინერეობდა მეორე მსოფლიო ომის და მის შემდგომ პერიოდში. მშენებლობის პროცესში ქართველებთან ერთად იმ დროისათვის ქუთაისის ტეყვეთა ბანაკში განთავსებული გერმანელები და პოლონელებიც მონაწილეობდნენ.

ქუთაისის თეატრალური ცხოვრება მესხიშვილის თეატრის შენობის აგებამდეც, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეშიც აქტიური იყო, როცა ქუთაისის სცენისმოყვარეთა თითქმის 20-წლიანი მოღვაწეობა 1879 წლის შემოდგომაზე მუდმივი დასის შექმნით დასრულდა. სწორედ ამ დასისთვის აიგო ქალაქის თვითმმართველობისგან იჯარით მიცემულ მიწაზე ხარაზოვის თეატრი. მშენებლობა 1879 წლის სექტემბერში დაიწყო და 1880 წელს დასრულდა. გაზეთი "დროების" 1880წ.ის ერთ-ერთ ნომერში ვკითხულობთ:

"ხარაზოვის თეატრი გაიხსნა, ქართულმა ტრუპპამ მოქმედება იწყო. აგერ ორი წარმოდგენა მისცა. საქმე მშვენივრად მიდის, როგორც იმედი გვქონდა..."

1894 წელს ნაგებობა ხანძარმა გაანადგურა. ეს თეატრი წარმოადგენდა ქალაქის კულტუ0რული ცხოვრებისა და სცენური ხელოვნების მნიშვნელოვან კერას, სადაც მუშაობდა პროფესიული დასი. მისი დაწვა კი იყო მნიშვნელოვანი დარტყმა იმდროინდელ კულტურულ ცხოვრებაზე. თეატრისმოყვარეთა განწყობას შენობის დაწვასთან დაკავშირებით იმდროინდელი პრესაც აჟღერებდა.





ხანძარი ისეთი მასშტაბის ყოფილა, რომ ახალი შენობის აგებისას ხარაზოვისეული თეატრის მხოლოდ ერთი, რუსთაველის ქუჩის მხარეზე მდებარე კედელი იქნა გამოყენებული. სწორედ ამ შენობაში დაჰყო ქუთაისის დრამატულმა თეატრმა 1955 წლის 6 ნოემბრამდე, ამჟამინდელი შენობის გახსნამდე. 1969 წლიდან კი იქ ოპერის თეატრი ფუნქციონირებს.

ხარაზოვის თეტრის სცენა არა მხოლოდ სპექტაკლების საჩვენებლად გამოიყენებოდა. აქ სხვადასხვა შეხვედრებიც იმართებოდა. აკაკი წერეთლის მონაწილეობით გამართული ერთ-ერთი ასეთი შეხვედრის შესახებ მოგვითხრობს გაზეთი „დროება“ .



დროება

Წასრულს ოთხშაბათს აკაკიმ წაიკითხა ხარაზოვის თეატრში პირველი*) ნაწილი თავის ლექციისა (საკითხავისა) „ქართველ ქალებზედ“. ზოგიერთის მიზეზების გამო სახელგანთქმულს პოეტს კითხვის დროს აკლდა იგი მსმენელთა აღმტაცებელი კილო, რომელსაც დაჩვეულნი ვართ მისგან... რაც შეეხება თვითონ საგნის დამუშავებას, უნდა შევნიშნოთ, რომ საკითხავში, იმ ფარგლის შესადაროდ, რაც მისთვის მიუზომავს წამკითხველს —ერთობ მრავალი, თუმცა დიდ ჩინებული ეპიზოდიური მაგალითებია, რომელთაც აკლია მათი ერთმანეთზე ამცქვევი სიმი და დაზოგადება (обобщение). ასე რომ, შედარებით თუ ვიტყვით, მისი საკითხავი ჰგავს პოეტურად დაკრეფილს ჭშვენიერს, სურნელოვან ვარდებს, რომელთაც აკლია გემოიანად ერთმანეთზე მიწყობა და ცოდნით შეკვრა, რათა უჩინებულეს ვარდის-კონად იქცეს... შეჭველია, რომ აკაკისათვის ძალიან ადვილია მოსპოს ყოველივე ეს ნაკლულევანება. ლექციას დაესწრო დიდძალი საზოგადოება, დარბაზში ტევა აღარ იყო, თხოულობდენ სკამების ჩამატებას...

მოუთმენელად მოელიან საკითხავის მეორე ნაწილის (ეხლანდელ ქალებზედ) მოსმენასაც და, იმედია, საზოგადოების ასე გულითადი მოლოდინი შეუსრულებელად არ დარჩება...

ქუთაისში დღესაც ნახავთ შენობებს, რომლებიც ტყვეთა მიერ იქნა აგებული.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ქალაქში არსებულ ტყვეთა ბანაკში ბევრი ადამიანი იხდიდა სასჯელს, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებას სხვადასხვა სამშენებლო ობიექტებზე ჰყავდა დასაქმებული. ტყვეთა შორის გერმანელების გარდა 40-მდე ეროვნების წარმომადგენელი იყო.შინსახკომის საკონტროლო ფილტრაციული ბანაკი #0331-ის პატიმრებს შორის პოლონელები ჭარბობდნენ. როგორც პოლონელი მკვლევარი დარიუშ როგუტი წიგნში “პოლონელი ტყვეების ბედი შსსპ ქუთაისის ბანაკში (1945-1947წლები)” წერს, პატიმრები აქ ვილნიუსიდან გადმოიყვანეს. ისინი ფაშისტების წინააღმდეგობის არმიაში იბრძოდნენ, მაგრამ საბჭოთა ჯარების ლიეტუვაში შესვლის შემდეგ პოლონელები რატომღაც დააპატიმრეს და ქუთაისში გამოამგზავრეს.

ებრაული დასახლება ქუთაისში

ქუთაისში საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვანი ებრაული საზოგადოება ცხოვრობდა, რომელიც ქალაქის ეკონომიკურ, კულტურულ და ინტელექტუალურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობდა. ებრაული უბანი იყო ქალაქის ერთ-ერთი მთავარ სავაჭრო და საცხოვრებელი ზონა, სადაც მრავლად იყო მაღაზიები, შემოსასვლელი ქუჩები და საზოგადოებრივი ცენტრები. ქუთაისში ებრაელები საუკუნეების განმავლობაში სახლობდნენ, თუმცა ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით მათ ქალაქში დასახლება XVII–XVIII საუკუნეებიდან დაიწყეს.

როგორც ცნობილია, ებრაულები ძირითადად ვაჭრობით იყვნენ დაკავებულები. XVIII საუკუნეში მათი რაოდენობა გაიზარდა და ქალაქის ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების აქტიურ ნაწილად ჩამოყალიბდნენ. ჰქონდათ თავიანთი სავაჭრო ობიექტები, სასწავლო დაწესებულებები და სინაგოგები.



შვეიცარიელმა მოგზაურმა, მკვლევარმა და გეოლოგმა, პროფესორმა დიუბუა დე მონპერემ (1798–1850), რომელიც ქუთაისში 1833 წელს იმყოფებოდა, აღწერა ქალაქის გეგმა და გამოკვეთილად მიუთითა დასახლება „ებრაელთა უბანი“.

„ებრაელები ას წელზე მეტია, რაც მოვიდნენ იმერეთში. ისინი აფხაზეთიდან მოიყვანეს მეფეებმა, რომლებიც მათ მფარველობდნენ. ქუთაისის ეკლესიამ დაუთმო მათ მიწის ფართობი გუბერნიის მმართველის სახლის მახლობლად და ყოველწლიურად ეგზარქოსს იჯარას უხდიან. აქვთ ღარიბი სინაგოგა...“ (დიუბუა დე მონპერე).

მოგზაური ასევე წერს: „ისინი მეტწილად ვაჭრობენ ძველმანებით, ცვლიან მათ სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე. მძიმე სამუშაო და მინდვრის შრომა არ უყვართ. ფეხმორთხმულნი თავიანთ ღარიბ ძველმან საქონლის შუა, კითხულობენ ბიბლიას, ასწავლიან ბავშვებს ძველ ებრაულ ენას. თუმცა ერთმანეთში მხოლოდ ქართულად ლაპარაკობენ....“

1867 წელს საზღვარგარეთ სავაჭროდ წასვლის ნებართვა საქართველოში მცხოვრებ 44 ებრაელს აუღია. შემორჩენილი დოკუმენტების მიხედვით, ამ სიებში ყველაზე მრავალრიცხოვანი ქუთაისელები ყოფილან. პირველი და მეორე გილდიის ვაჭრებს შორის გამოირჩეოდნენ: იაკობიშვილები, ელიგულაშვილები, ენუქაშვილები, თავდიდიშვილები, ხანანაშვილები, რომელთაც მრავალგზის ჰქონიათ მოვლილი სტამბოლი, ტრაპიზონი, მოსკოვი, ნიჟნი ნოვგოროდი, ოდესა, ხარკოვი, როსტოვი, ვარშავა, ლოძი და სხვა დიდი ქალაქები. საზღვარგარეთიდან შემოტანილ საქონელს მათგან ნაღდი ანგარიშით ან კრედიტით ყიდულობდნენ ადგილობრივი საშუალო და წვრილი ვაჭრები. ქუთაისელ ებრაელებს საექსპორტოდ დასავლეთ საქართველოდან დიდი პარტიებით გაჰქონდათ დაუმუშავებელი აბრეშუმი, ღორის ჯაგარი, ქალის თმა, ბეწვეული, კვერცხი, კალოში, ხალიჩა, ხილი, ჩირი.

შესაბამისად, ქუთაისი საუკუნეების განმავლობაში იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი დასავლეთ საქართველოს ებრაელებისთვის, სადაც განვითარებული იყო სავაჭრო, ინტელექტუალური და სულიერი ცხოვრება.

ქუთაისის სინაგოგები

ქუთაისის ებრაული კვარტალი თავისი ისტორიული სინაგოგებით ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილზე დგას ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, ბორის გაპონოვის ქუჩაზე. აქ ჯამში სამი სინაგოგაა, რომლებიც ებრაული ცხოვრების აქტიურ პერიოდს ასახავს.

პირველი სინაგოგა 1852 წელს აშენდა. ეს იყო ქალაქის ერთ-ერთი პირველი ქვის სინაგოგა, რომელიც ემსახურებოდა ებრაული თემის სალოცავ და საზოგადოებრივ მიზნებს. მოგვიანებით, 1886 წელს ქალაქში მეორე, დიდი სინაგოგა ააგეს, რომელიც საქართველოში სიდიდით თბილისი სინაგოგის შემდეგ მეორეა, რომელსაც მასშტაბი და არქიტექტურული ფორმები გამოარჩევს ქუთაისის სინაგოგათა შორისაც. მესამე სინაგოგა კი, რომელიც დიდი სინაგოგის გვერდითაა, 1912 წელსაა აგებული.

ამ სინაგოგებმა წარმოაჩინეს ქუთაისის ებრაული საზოგადოების რელიგიური, კულტურული და საგანმანათლებლო ცხოვრება და დღესაც წარმოადგენენ კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ნაწილს.

1928 წლის ხანძარი

1928 წლის 23 მაისს ქუთაისის ებრაული უბანი უბედურების ეპიცენტრი გახდა. აქ გაჩენილი ხანძარი მასობრივ კატასტროფად იქცა ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის - ცეცხლმა მიწასთან გაასწორა ებრაული უბნის მრავალი სახლი და შენობა. ამ ხანძარმა დააზარლა დაახლოებით 300 ოჯახი და შეიწირა ათეულობით ადამიანი. ისტორიული წყაროების მიხედვით, 359 სახლ-მეურნეობა სრულად დაიწვა და დაახლოებით 6 000 ადამიანი დარჩა საცხოვრებლის გარეშე. საბჭოთა ხელისუფლებამ ებრაელებს სხვა ადგილზე გადასახლება შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღეს. ხანძარი ოფიციალური განცხადებებით დაუდევრობის მიზეზი იყო.

ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულია ჭორები და ვერსიები 1928 წლის ხანძართან დაკავშირებით. ზოგი ამბობდა, რომ უბნის დაწვა ცალკეულ ინტერესთა ან პოლიტიკურ მიზნებს უკავშირდებოდა. მაგალითად, საცხოვრებელი ტერიტორიის რეკონსტრუქციას ან ებრაული უბნის ჩანაცვლებას ახალი დასახლებით. თუმცა, დოკუმენტურად დადასტურებული არ არის, რომ ეს იყო განზრახ განხორციელებული აქტი - ოფიციალური ანგარიშები აღნიშნავენ, რომ ეს იყო სტიქიური ხანძარი, რომელიც გავრცელდა სწრაფად, რადგან უბანი ძირითადად ხის შენობებით იყო განაშენიანებული.

დაზარალებულ ებრაელთა დახმარების საქმეში საკუთარი წვლილი შეუტანია ზაქარია ფალიაშვილს, რომელსაც ქუთაისში გასტროლების დროს ბილეთების გაყიდვიდან შემოსული თანხა სპეციალურ ფონდში გადაურიცხავს.



აქვე უნდა დავსძინოთ, რომ იმავე წელს ქუთაისში საგასტროლოდ ჩამოვიდა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დასი. ეს იყო ღირსშესანიშნავი მოვლენა ქუთაისის მუსიკალურ ცხოვრებში.

გასტროლები დაიწყო ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერით“ (დირიჟორი ივანე ფალიაშვილი). სამწუხაროდ პირველი სპექტაკლი დაემთხვა სტიქიურ უბედურებას — დიდ ხანძარს, რომელმაც 10 მაისს იფეთქა და გაანადგურა ქალაქის ერთი უბანი — ყოფილი გელათის (ამჟამად შაუმიანის) მეზობლად დასახლებული ქუჩა.

გასტროლები მიმდინარეობდა მაშინდელი დრამატული თეატრის შენობაში. ზაქარიას, რომელიც საოპერო დასს ახლდა, ძალზე მტკივნეულად განუცდია ეს საშინელი ამბავი. პირველი წარმოდგენის დასრულების შემდეგ მას მაყურებელთა დარბაზში გამოუცხადებია, რომ მთელი შემოსავალი ხანძრისაგან დაზარალებული ოჯახების დახმარების ფონდში იქნებოდა ჩარიცხული. ხალხი დიდი კმაყოფილებით შეხვდა ამ გადაწყვეტილებას.

ხანძარი ქუთაისში არც თუ ისე იშვიათი მოვლენა ყოფილა. როგორც ჩანს, ხის სახლები ამისთვის ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდა. ერთ-ერთი მასშტაბური ხანძრის შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ 1881 წელს მომხდარა და 14 მაღაზია გაუნადგურებია, მაშინდელი პრესაც იუწყებოდა. მაღაზიების მეპატრონეთა საერთო ზარალს თითქმის 200 ათასი მანეთი შეუდგენია. საინტერესოა ფაქტია, რომ მაღაზიების უმეტესობა დაზღვეული ყოფილა.



ახალი ამბები.

—

ქუთაისში 31 მაისს დილის სამი საათიდამ რვამდე გადამწვარა თოთხმეტი მაღაზია საზნაურო ბანკის პირდა-პირ, მიხაილოვის ქუჩაზე. პირველად ცეცხლი გაჩენილა ბეგოვის მაღაზიაში.

ყველა შენობები და შიგ დაწყობილი საქონლები (ერთი მაღაზიის გარდა) დაზღვეული ყოფილა. ამბობენ, სხვათა შორის, ერთს მეხილეს, რომელიც ამ მაღაზიების ჩრდილოეთით წყობაში ვაჭრობდა, ხუთი ათას მან. ჰქონდაო თავის წვანილი და ხილი დაზღვეულიო.

სამი მაღაზია დაგირავებული ყოფილა საზნაურო ბანკში. ხმებია, ეითომც ეს ცეცხლი ბოროტ-განზრახვით უნდა ყოფილიყოს წაკიდებული.

* * *

ამ ცეცხლის თაობაზედვე ქუთაისიდამ გვწერენ, რომ გადამწვარა ზალინოვის, შამლიკაშვილის, ციციშვილის და ხარაზოვების მაღაზიები; დაიწვა აგრეთვე ჟურწოვის სკლადი, ოღანეზოვის მაღაზია, ჭურთოვების რკინეულობის მაღაზია, ბეგოვისა და სხვ. ჟურწოვის მაღაზია 20 ათას მანეთად ყოფილა საზღვეველ საზოგადოებაში შეტანილი, ოღანეზოვისა—40 ათასად, ჭურთოვისა—15 და ბეგოვისა—27 ათას მანეთში. სულ ზარალი უკანასკნელი 200,000 (ორასი ათასი) მანეთამდინ იქნებაო.

ცნობილი ებრაელები

ქუთაისის ებრაული საზოგადოებიდან მრავალი სახელგანთქმული ადამიანის სახელი და გვარი შემოგვინახა ისტორია, რომლებმაც თავიანთი საქმიანობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქალაქის ვაჭრობაში, განათლებასა და მეცნიერებაში.

ებრაელები აქტიურ როლს თამაშობდნენ ქალაქის და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც.

მოშე დავარაშვილი - ქუთაისელი რაბინი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ხელმომწერი და 1919 წლიდან საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი იყო. ეს ყოველივე ხაზს უსვამს მის როლს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებასა და ებრაული საზოგადოების განვითარებაში.

ქუთაისელი ებრაელები აქტიურად ყოფილან ჩართული დემოკრატიული რესპუბლიკის გაძლიერების პროცესში. 1918 წლის საგაზეთო პუბლიკაციიდან ვგებულობთ, რომ მათ აქ „ახალგაზრდა ებრაელთა კლუბი“ ჩამოუყალიბებიათ, რომლის წევრებიც დამფუძნებელი კრების არჩევნების პროცესშიც მონაწილეობდნენ.


ქუთაისის ავ-კარგი

ახალგაზდა ებრაელები.

ყველამ კარგად იცის, თუ როგორი დევნილი ერია ებრაელობა. ვინ არ იცის, თუ რა დევნას განიცდიდა ეს ერი. მონარქიულ და დესპოტიურ რუსეთში და ამიტომ თუ კი რომელიმე კლასი, ან ერი აღფრთოვანებით შეხვდა ამ დახავსებული მთავრობის დამხობას, მით უმეტესი აღფრთოვანება გამოიწვიეა მან დევნილ ებრაელობაში. რევოლიუციის პირველ დღიდანვე სხვებთან ერთად ქუთაისის ებრაელობაც ჩაება რევოლიუციონურ მოძრაობაში განსაკუთრებით ენერგიულ მოქმედებას იჩენდენ აქაური ახალგაზდა ებრაელები.

რევოლიუციის პირველ ხანებში ისენიც მხურვალე მონაწილეობას ღებულობდენ რევოლიუციონურ საქმიანობაში და დაიარსეს: „ახალგაზდა ებრაელთა კლუბი“, რომლის წევრები და ხელმძღვანელები ენერგიულათ მოქმედებდენ როგორც ქალაქის, ისე დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს. როგორც მოსალოდნელი იყო ებრაელების დიდი უმრავლესობისა სოციალ-დემოკრატიის დროშის ქვეშ შემოიკრიბა.

გული სიამით ევსებოდა ადამიანს, როცა ხედავდა ახალგაზრდა სიცოცხლით სავსე და გულწრფელად მომუშავე ებრაელთ, რომლებიც სცდილობდენ განვითარება და სინათლე შეეტანათ ქართველ ებრაელობაში.

მაგრამ ეს რამოდენიმე ხანია ამ კლუბმა შეაჩერა თავისი მოქმედება რა არის მიზეზი? რამ გამოიწვია ამ ხალხის ნაყოფიერი მუშაობის შეჩერება? ჩვენ არ ვიცით, მაგრამ რა მიზეზიც არ უნდა იყოს, მაინც მომაკვდინებელ ცოდვათ ჩაითვლებათ ამ ახალგაზრდობას ასეთი უმოქმედობა, მით უმეტეს დღეს, როდესაც რევოლიუცია განსაცდელშია, როდესაც მას ყოველ მხრიდან მოელის საფრთხე, როგორც შიგნიდან, ისე გარედან და თუ რევოლიუცია დამარცხდა ეს სომ თვით ებრაელების დამარცხებაც იქნება?

მიხეილ კაკიტელაშვილი - ქუთაისელი ებრაული წარმოშობის პოეტი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში. მისი ლექსები ასახავდა როგორც ებრაული თემების ყოველდღიურ ყოფას, ასევე საქართველოს ისტორიულ და სოციალურ მოვლენებს. მის ლექსზე „ცოცხალი ვარ ცოცხალი“ გიორგი ცაბაძის მიერ დაწერილ სიმღერას ცნობილი ქართული ჯგუფები ასრულებდნენ.

ბორის (დოვ) გაპონოვი - ცნობილი ებრაელი პოეტი და მთარგმნელი, რომელიც შესაძლებელია ითქვას, რომ კულტურის ხიდი გახდა ისრაელსა და საქართველოს შორის. იგი 1934 წლის 20 თებერვალს დაიბადა ევპატორიაში (ყირიმში). 1941 წელს, მეორე მსოფლიო ომის დროს ოჯახი ევაკუირდა და გაპონოვები ქუთაისში დასახლდნენ. ბორის გაპონოვის მთავარი დამსახურება არის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანის“ თარგმნა ივრითზე, რომელსაც უზარმაზარი აღიარება მოჰყვა. გაპონოვის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანს ისრაელში 1969 წელს შაულ ჩერნიხოვსკის (Tchernichovsky Prize) , ხოლო 1971 წელს პრეზიდენტის პრემია მიენიჭა. ის იყო ისრაელის ეროვნული აკადემიის წევრი და სიკვდილის შემდეგ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატიც გახდა (1989).

კათოლიკური (ფრანგული) უბანი

ვიდრე ბატონყმობა გადავარდებოდა და ფეოდალები მეფეებს ეურჩებოდნენ, შინაური, თუ გარეული მტერი ნამდვილად არ აკლდა იმერეთის სამეფოს.

ქალაქის გასაცოცხლებლად, ომებით გაპარტახებულ ქუთაისში კათოლიკე მისიონერები ჩამოუსახლებიათ. მისიონერები ფრანგების უბნად წოდებულ ტერიტორიაზე (დღევანდელი ვარლამიშვილის ქუჩა) დასახლებულან და ქუთაისისთვის მართლაც სულ მალე დაუტყვიათ ხელი.

„ბევრი მათგანი ფლობდა სამოქალაქო დისციპლინებს: ფილოსოფიას, ისტორიას, მათემატიკას, ფიზიკას, ქიმიას, მხატვრობას. იცნობდნენ ევროპის ახალ მიღწევებს მეცნიერების სხვადასხვა დარგში და თავიანთ მიერ გახსნილ სასწავლებლებში, საღვთისმეტყველო საგნებთან ერთად ამ ახალ მიღწევებსაც აცნობდნენ ქართველ ახალგაზრდობას", – ნათქვამია პროფესორ შ. ლომსაძის ჩანაწერებში.

ისტორიული წყაროების მიხედვით, სწორედ კათოლიკების სახელს უკავშირდება ქუთაისში მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარება. მეწარმეობის გარდა, ისინი სხვადასხვა საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდნენ, რითიც საქართველოში ევროპული ღირებულებები და კულტურა შემოჰქონდათ. სწორედ ამიტომ, ეს უბანი აღიქმებოდა როგორც ერთგვარი სარკმელი ევროპასთან.

მოსახლეობისა და მრევლის გაზრდამ ახალი ეკლესიის აგების საჭიროება წარმოშვა. მე-19 საუკუნის დასაწყისში მეფე სოლომონ მეორემ კათოლიკე მისიონერებს "წყალობის სიგელით" უბოძა ქუთაისში ადგილი, სადაც 1819 წლიდან კათოლიკური ეკლესიის მშენებლობა დაიწყო.

ტაძრის მშენებლობა წარმატებით გაგრძელდებოდა, რომ არა 1844 წლის რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გაცემული განკარგულება, რომლის მიხედვითაც სასულიერო პირები უნდა დაქვემდებარებოდნენ რუსეთის ტახტს. საქართველოში მყოფ კათოლიკე მისიონერებს ამ ბრძანების აღსრულებაზე უარი უთქვამთ, რის შემდეგაც დაიწყეს მათი საქართველოდან გაძევება.

საბოლოოდ ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის წინამძღვრად 1846 წელს მამა ანტონ გლახაშვილი დაინიშნა, რომლის ძალისხმევითაც ტაძრის მშენებლობა განახლდა. მან შეძლო შეეგროვებინა თანხა ეკლესიის მშენებლობის დასასრულებლად. ეკლესიის მშენებელი ოსტატი იყო ბერძენი მიხეილ ელიოვი და ქრისტეფორე ანტოლი ჩილიკოვი.

იტალიიდან მოწვეულმა ოსტატებმა ეკლესია მხატვრულად გააფორმეს. მათ დახმარება გაუწია სამეგრელოს მთავარმა დადიანმა, რომელსაც ეკლესიის მშენებლობისთვის შეუწირავს ექვსი წყვილი კამეჩი თავის ურმებით. მშენებლობა 1862 წელს დასრულდა და „ღვთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის ეკლესიად" იკურთხა.

როგორც ყველა სხვა კათოლიკურ ტაძარს, ქუთაისის ეკლესიასაც გარს მოზრდილი ბაღი ერტყა, ხოლო ეზოში საკვირაო სკოლისთვის ორსართულიანი შენობა იყო აგებული, სადაც ახალგაზრდები სასულიერო განათლებას ეუფლებოდნენ.

1937 წელს, ქუთაისის აღმასკომის გადაწყვეტილებით, კათოლიკე მრევლს ტაძარი ჩამოერთვა, ხოლო მის წინამძღვარს, დონ დამიანე სააკაშვილს, მღვდელმსახურება აეკრძალა. საბედნიეროდ, სატაძრო ნაგებობა, მისი ინტერიერი, დამხმარე შენობა და ბაღი შედარებით უვნებლად გადარჩა.

1971 წელს, ზაქარია ფალიაშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო დღეების მზადების ფარგლებში, პავლე თუმანიშვილის ინიციატივით ტაძარს რესტავრაცია ჩაუტარდა და საორღანო მუსიკის დარბაზის ფუნქცია შეიძინა. საბჭოთა პერიოდში ასეთი გადაწყვეტილება კათოლიკური ტაძრის შენარჩუნების საუკეთესო საშუალება იყო.

ქუთაისის კათოლიკურ უბანში უამრავი ადამიანი აღიზარდა, რომლებმაც როგორც ქალაქის, ისე ქვეყნის ისტორიაში გრანდიოზული კვალი დატოვეს.

ზაქარია ფალიაშვილი

ზაქარია ფალიაშვილი 1871 წელს მრავალშვილიან ქუთაისელ კათოლიკეთა ოჯახში დაიბადა. პატარა ზაქარია კათოლიკური ეკლესიის წინ ცხოვრობდა. მიუხედავად იმისა, რომ ფალიაშვილების ოჯახში არანაირი მუსიკალური საკრავი არ იყო, და-ძმათაგან რამდენიმეს აღმოაჩნდა მუსიკალური ნიჭი. 8 წლიდან ზაქარია ეკლესიის გუნდში გალობდა. აქვე გაიტაცა იგი ორღანმა და მოგვიანებით მასზე დაკვრაც ისწავლა.

ფალიაშვილის სახლ-მუზეუმი, რომელიც რიონის პირას, პატარა მოკრძალებულ სახლშია განთავსებული, კარგად ასახავს იმ გარემოს, სადაც მომავალი კომპოზიტორი იზრდებოდა.

ზაქარია, რომელმაც თავისი გენიალური შემოქმედებით მსოფლიოს გააცნო ქართული ოპერა, ყველაზე მეტად, თურმე, ქუთაისელი მსმენელის წინაშე გამოსვლისას ნერვიულობდა.

ქუთაისზე უზომოდ შეყვარებული კომპიზიტორი ცდილობდა ყველა ახალი ნაწარმოები ჯერ თავისი ქალაქისა და ქალაქელებისთვის გაეცნო.

პეტრე-პავლე კოკოჩაშვილი

წარმოიდგინეთ, რომ ცხოვრობთ ქალაქში, სადაც აფთიაქი არ არსებობს... ასეთი პერიოდიც იყო ქუთაისში და სწორედ მაშინ ქალაქს წამლად მოევლინა ივანე კოკოჩაშვილი.

განუწყვეტელი ომიანობის პირობებში, როცა ქალაქში ჭირდა მკურნალი და ყოველ დღე უამრავ ავადმყოფს სჭირდებოდა გადარჩენა, ივანე მათ უფასოდ მკურნალობდა.

ისტორიული წყაროების მიხედვით, ივანე პეტრეს ძე კოკოჩაშვილი ქუთაისში ახალციხიდან ჩამოსახლდა. ის დახელოვნებული ყოფილა სამედიცინო დარგში და წამლებსაც თვითონ ამზადებდა. ივანემ XIX ს-ის პირველ ნახევარში თავის სახლში გახსნა "სამკურნალო აფთიაქი", რაც ქუთაისელებისთვის ნამდვილი შვება იყო იმ პერიოდში.

ივანე კოკოჩაშვილის დაწყებული საქმე განავითარა მისმა შვილმა, პეტრე ივანეს ძე კოკოჩაშვილმა. სწორედ მისი დამსახურებაა ქუთაისში პირველი აფთიაქის გახსნა 1800 წელს, რომელიც ერთადერთი იყო მთელ გუბერნიაში. ქუჩას, სადაც აფთიაქი გაიხსნა, შემდგომში აფთიაქარის ქუჩა ეწოდა.

კოკოჩაშვილი, გარდა იმისა, რომ კარგად აკეთებდა საქმეს, ისეთი სახელი ჰქონდა, რომ ყველა პატივს სცემდა. მის აფთიაქში შემოსვლა უკვე მოვლენა იყო. სუნამოებით, მწვანე ფოთლებით და ხილეული წყლებით სავსე თაროები თვალწარმტაც სანახაობას ქმნიდა.

სწორედ აქ, ამ სურნელებითა და ფერებით სავსე გარემოში, მიტროფანე ლაღიძე პირველად გაცნობია ხილეული წყლების დამზადების ტექნოლოგიას. მიტროფანე ლაღიძემ პატარა აფთიაქის კედლებში მიღებული ცოდნით საკუთარი იდეების სამყაროში გადაინაცვლა. ის გახდა მეწარმე, რომლის ინოვაციურობას და შემოქმედებით ხედვას დღემდე ახსენებენ. ცალსახაა, რომ ლაღიძის მიერ ბიზნესის დაწყების ინსპირაცია კოკოჩაშვილის პატარა, მაგრამ ჯადოსნურმა აფთიაქმა განაპირობა.

◆ მ. ლაღიძე უკვე შეუდგა ელექტრონულ განათების გამართვას და მალე კიდეც დაამთავრებს. როგორცა სჩანს, მაღაზიებისა და კერძო სახლების ელექტრონით განათების მსურველი ბევრი აღმოჩნდა. ბ-ნი ლაღიძე ქალაქს უფასოდ უდგამს ოთხს ფარანს, რომელთაგან თითოს 1000 სანთლის ძალა ექნება. ამ ოთხ ფარანთაგან ერთი უნდა დაიდგას გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის ბაღის მახლობლად; მეორე—ჰოსპიტლის ქუჩაზე, თეთრი ხიდის მახლობლად; მესამე—ბალახვანის ქუჩაზე, სასტუმროებთან; მეოთხეს-კი ჯერ ვერ უპოვნეს დასადგამი ადგილი: ყველგან უნდათ რომ დადგან და ერთი ფარანი მთელს ქალაქს არ ეყოფა. ჩემის აზრით, სამართლიანი იქმნება, მეოთხე ფარანი დაიდგას იმ გზა ჯვარედინზე, სადაც ორპირისა და გეგუთის ქუჩები ეღობება ერთმანერთს.

◆ ქალაქის გამგეობამ დაიქირავა რამდენიმე კაცი ქუჩების მგველებად. ქუჩები ორს დღეში ერთხელ მაინც უნდა დაიგავოს. შეიძინეს აგრეთვე რამდენიმე ბოჭკა ქუჩების მოსარწყავად. ქუთაისის ქუჩებზე ეხლა საზოგადოთ გაცხარებული მუშაობაა; გზატკეცილის ნაცვლად არჩეული რიყის ქვით კირწყლავენ ქუჩებს.

მიტროფანე ლაღიძე საკუთარი შემოსავლების დიდ ნაწილს ქალაქის საკეთილდღეოდ ხარჯავდა. გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1904 წელს წერდა, რომ ლაღიძემ ქუთაისის ელექტროფიკაციისთვის გარკვეული თანხა გაიღო. უფრო მეტიც, გაზეთი იუწყებოდა, რომ იგი ქალაქში უფასოდ 4 ფანარს განათავსებდა.

იოსებ ოცხელი

მაშინ, როცა გვიკრძალავდნენ მშობლიურ ენაზე სწავლას, ,,მრავალჟამიერს" და ყველაფერ ქართულს, რაც იდენტობას გვძენდა, იოსებ ოცხელმა ბავშვებს ქართული სკოლა დაუბრუნა.

იოსებ ოცხელმა ცარიზმის პირობებში მოახერხა (1892 წელს) ქუთისში დაეარსებინა "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" და ქუთაისის ქართული სათავადაზნაურო სკოლა.

1905 წელს სკოლა გიმნაზიად გადაკეთდა, რომელიც ქუთაისში დღემდე ფუნქციონირებს.

იმ პერიოდში ეს სკოლა პირველი სასწავლებელი იყო სადაც ყველა საგანს ქართულ ენაზე ასწავლიდნენ. ის, ამავდროულად, ზრუნავდა მოსწავლეებზე, ღარიბებს გადასახადებისაგან ათავისუფლებდა და მატერიალურად ეხმარებოდა მათ. მაშინდელ საქართველოში არ არსებობდა წიგნები ქართულ ენაზე და მისი ინიციატივით დაარსდა წიგნის გამომცემლობა "განათლება", რომელმაც მოამარაგა სკოლა ქართული სახელმძღვანელოებით.

იოსებ ოცხელი დაიბადა 1865 წელს ქუთაისში. დაწყებითი განათლება ქუთაისის კათოლიკურ სასწავლებელში მიიღო, ხოლო საშუალო განათლება ვაჟთა გიმნაზიაში, რომლის კურსი 1885 წელს დაასრულა. იმავე წელს უმაღლესი განათლების მისაღებად ოდესის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, რომელიც 1889 წელს პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა და მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა. მიუხედავად პედაგოგიური მოწოდებისა, იგი იძულებული იყო სხვა დარგში ემუშავა, რადგან "არაკეთილსაიმედობის გამო" კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა მას ამ მხრივ ყველა გზა დაუხშო. იგი იყო ქუთაისის გუბერნიის კანცელარიის მმართველი და თბილისის სახელმწიფო ბანკის თანამშრომელი, მაგრამ ვერცერთ ამ ჩინოვნიკურ თანამდებობას ვერ შეეგუა. სახელმწიფო სასწავლებელში რომ ვერ ეღირსა მასწავლებლის თანამდებობას, იგი კერძო სასწავლებლის დაარსების გზით შეეცადა პედაგოგიური მოღვაწეობის დაწყებას. იოსებ ოცხელმა 1892 წელს ქუთაისში პირველი ქართული საჩვენებელი საბავშვო ბაღი დააარსა მოსამზადებელი კლასით, რომელსაც დიდი გულმოდგინებით ხელმძღვანელობდა.

1900 წელს “ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების” გამგეობამ თანამდებობიდან გაანთავისუფლა ქუთაისის ქართული სკოლის ინსპექტორი, რომლის მუშაობითაც უკმაყოფილო იყო და ამ თანამდებობაზე უკვე დიდი პედაგოგიური გამოცდილების მქონე იოსებ ოცხელი დაამტკიცა. აქედან დაიწყო ოცხელის პრაქტიკული პედაგოგიურ-შემოქმედებითი საქმიანობა. მან განიზრახა ქართული სკოლის კერძო გიმნაზიად გადაკეთება და 1905 წელს ეს სურვილი განახორციელა კიდეც. ეს იყო ისტორიულად პირველი ქართული საშუალო სასწავლებელი იმ პერიოდის დასავლეთ საქართველოში.

იოსებ ოცხელმა ქართული გიმნაზიის ირგვლივ შემოიკრიბა პროგრესულად მოაზროვნე ყველა გამოჩენილი ქართველი პედაგოგი და მათგან ახალი ქართული სკოლის შექმნის მაღალი საბრძოლო იდეებით აღჭურვილი და დარაზმული ერთიანი პედაგოგიური კოლექტივი შექმნა. იოსებ ოცხელი ოცი წელი (1900-1919 წწ.) ედგა სათავეში ქართულ გიმნაზიას და ამ ხნის განმავლობაში უჩვეულო ენერგიით ეწეოდა ახალგაზრდების ახალ პრინციპებზე აღზრდას. იგი გრძნობდა, რომ დიდი სახალხო მნიშვნელობის საქმე ებარა და ყოველთვის უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თავის მოვალეობას.

იოსებ ოცხელი ავტორი იყო სახელმძღვანელოებისა: “ქართული ანბანი”, “მნათობი” (ანბანის შემდგომ საკითხავი წიგნი), “გუთანი” (ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი), “ქართული ქრესტომათია” საშუალო სასწავლებლის პირველი, მეორე და მესამე კლასებისათვის. როგორც მათემატიკის სპეციალისტმა თავის ძმასთან ს. ოცხელთან ერთად ალგებრის, გეომეტრიისა და ფიზიკის სახელმძღვანელოებიც შეადგინა. “გუთანი” იაკობ გოგებაშვილის “ბუნების კარის” ანალოგიით იყო შექმნილი და მასში მდიდარი სასწავლო მასალა იყო შესული. იაკობ გოგებაშვილი 1909 წელს წერდა: “ბუნების კარი” ბოლო წლებამდე მოწყენით გახლდათ, რადგან მარტოობას გრძნობდა, ეხლა კი ამხანაგები გაუჩნდნენ და მოილხინა.”

იოსებ ოცხელის ხელმძღვანელობით ქუთაისი გადაიქცა ქართული სახელმძღვანელოების შედგენა-გამოცემის დიდ ცენტრად საქართველოში. ამავე მიზნით მან წიგნების გამომცემელი საზოგადოება “განათლება” და “სკოლა” დააარსა, რომლებმაც ძალიან შუწყვეს ხელი ქართული სახელმძღვანელო ლიტერატურის გამოცემა-გავრცელებას და საფუძველი ჩაუყარეს საშუალო სკოლისათვის ქართული სახელმძღვანელოების შექმნის დიდ საქმეს.

იოსებ ოცხელმა დააარსა ჟურნალი “სკოლა და ოჯახი”, იგი იყო ქართული ტერმინოლოგიის დადგენის მოამაგე და აქტიურად ედგა მხარში ქართული პედაგოგიკის პატრიარქს იაკობ გოგებაშვილს.

იოსებ ოცხელი ქართული ენის სიწმინდის დაცვასა და მის ღრმად დაუფლებასთან ერთად ქართულ სკოლაში რუსულ ენასაც უდიდეს ყურადღებას აქცევდა. “მნათობის” წინასიტყვაობაში იგი წერდა: “ჩვენი სკოლა, სადაც მარტო ქართველი ყმაწვილები სწავლობენ, მოკლებულია რუსული ენის პრაქტიკას და საჭიროა ვეცადოთ, რომ რამდენადაც შეიძლება, ეს ნაკლი შევამციროთ”.

იოსებ ოცხელის საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობა მრავალფეროვანი იყო. თავისი მოღვაწეობის ყველა ეტაპზე იგი არა ტრაფარეტის მოყვარული და მიმდევარი, არამედ მუდამ ორიგინალური, მაძიებელი და შემოქმედი მოღვაწე გახლდათ.

იოსებ ოცხელი გარდაიცვალა 1919 წლის 9 აპრილს და დაკრძალულია ქუთაისში, “მწვანეყვავილას” პანთეონში.

ფელიქს ვარლამიშვილი

ქუთაისმა იხილა მრავალი გამოჩენილი კათოლიკე, მაგრამ ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფელიქს ვარლამიშვილს (1903–1986). მისი ცხოვრება და შემოქმედება აღბეჭდავს ქალაქის კულტურულ სულიერებას.

თავდაპირველად მან სწავლა ქუთაისის რეალურ სასწავლებელში დაიწყო, 1920 წელს კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ჩაირიცხა. მალე კი თბილისის სამხატვრო აკადემიაში გადავიდა, სადაც ცნობილი ქართველი და ევროპელი მხატვრები გიგო გაბაშვილი, იაკობ ნიკოლაძე, ევგენი ლანსერე და სხვები ასწავლიდნენ. ახალგაზრდა ვარლამიშვილის ნამუშევრები უკვე სტუდენტობისას გამოირჩეოდა როგორც გრაფიკაში, ისე ფერწერაში. მისი ილუსტრაციები 1927 წელს გამოჩნდა იეთიმ გურჯის კრებულშიც.

1928 წელს ფელიქს ვარლამიშვილი თანაკურსელ ლუკა ხითარიშვილთან ერთად საზღვარგარეთ გაიქცა. იგი ჯერ სტამბოლში ცხოვრობდა, მოგვიანებით კი პარიზში, მონპარნასზე დასახლდა. მისი გაქცევა საბჭოთა საქართველოში შემოქმედებითი თავისუფლების მკაცრ შეზღუდვებს და ევროპულ ხელოვნებაში ექსპერიმენტირების სურვილს უკავშირდებოდა.

ვარლამიშვილის შემოქმედება ყოველთვის საქართველოს სიყვარულით იყო დატვირთული. „ყველა ჩემს სურათს საქართველოს სიყვარულით ვხატავდი და ამით შევქმენი ჩემი მხატვრული სტილი“, - წერდა იგი.

1933 წელს მისი ნახატები პირველად გამოიფინა პარიზში “სპერანცას” გალერეაში და ამან დიდი პოპულარობა მოუტანა. 1945 წლიდან ფრანგული შემოქმედებითი სალონის საზოგადოების წევრიც გახდა.

1948 წელს მხატვარი არგენტინაში გაემგზავრა, სადაც დეკორატიულ ხელოვნებაში მუშაობდა და ხატავდა პანოებს, იმავდროულად ქმნიდა სურათებს. 1950 წელს ბუენოს-აირესში მოეწყო მისი გამოფენა, რომელმაც დიდი წარმატება მოუტანა. 1952 წელს დაბრუნდა პარიზში და შემოქმედებით საქმიანობა განაგრძო.

ფელიქს ვარლამიშვილი 1986 წლის 6 თებერვალს პარიზში გარდაიცვალა. მისი ნეშტი დაწვეს და ფერფლი ლევილის ქართველთა სასაფლაოზე დაკრძალეს. მეუღლემ, ზირე ბინდერმა, ანდერძის თანახმად, მისი ათი ნამუშევარი საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმს უსახსოვრა.

1987 წელს თბილისსა და ქუთაისში გაიმართა ფელიქს ვარლამიშვილის პერსონალური გამოფენა. ასევე, თბილისსა და ქუთაისში არის ფელიქს ვარლამიშვილის სახელობის ქუჩა.

იაკობ ბეგიშვილი -
ქუთაისის კათოლიკე მეწარმე და საზოგადო მოღვაწე

ქუთაისის ისტორიას ამშვენებენ კათოლიკე მეწარმეთა გამოჩენილი წარმომადგენლები, მათ შორის იაკობ სიმონის ძე ბეგიშვილი (ბეგოვი). ის იყო საფეიქრო მრეწველობის ერთ-ერთი ფუძემდებელი ქალაქში. 1877 წლის მონაცემებით, მისი ქონება მოიცავდა აბრეშუმისა და ბამბის საქსოვ ქარხნებს და ორ სავაჭრო სახლს მიხეილის (დღევანდელი ფალიაშვილის) ქუჩაზე. ბეგიშვილის ნაწარმი გამოირჩეოდა მაღალი ხარისხით და საზღვარგარეთაც გადიოდა, ძირითადად რუსეთში, თურქეთსა და გერმანიაში.

1881 წელს ბეგიშვილმა სწორედ მის საკუთრებაში არსებული დუქნების ადგილას დაიწყო ორსართულიანი სავაჭრო სახლის, ე.წ. „პასაჟის“ მშენებლობა (დღევანდელ ფალიაშვილის ქუჩაზე). შენობა გამოირჩეოდა ევროპული სტილით: გარედან ვარდისფერი ეკლარის ქვით მოპირკეთებული, შიგნიდან მარმარილოთი და მუხის ხით, მინის სახურავით, ხოლო დიდი მინიანი ვიტრინები მაღაზიებს უნიკალურ იერს აძლევდა. „პასაჟი“ გახდა ქალაქში ევროპული სტილის სავაჭრო ცენტრის ნიმუში, სადაც ფუნქციონირებდა ატელიე და პარიზული მოდის სალონი.

1893 წელს იაკობ ბეგიშვილის ინიციატივით ქუთაისში დიზელის საწვავზე მომუშავე პირველი ელექტროსადგური ამოქმედდა, რომელიც 1911 წლამდე ქალაქისთვის ერთადერთ სინათლის წყაროს წარმოადგენდა. იაკობ ბეგიშვილმა კათოლიკეთა უბანში საწარმოების დაფუძნებითა და ქალაქის ურბანულ განვითარებაში მონაწილეობით დიდი როლი ითამაშა ქალაქის განვითარების საქმეში.

ბეგიშვილი აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც: 1893–1895 წლებში იგი ქუთაისის სათათბიროს წევრი იყო, ხელს უწყობდა კულტურულ და ეკონომიკურ განვითარებას. მისი საქმიანობა არა მხოლოდ ბიზნესსა და ინდუსტრიას უკავშირდებოდა, არამედ ქალაქში თანამედროვე ევროპული განწყობის ჩამოყალიბებასაც ემსახურებოდა.

გასაბჭოების შემდეგ ბეგიშვილებს ქონება ჩამოერთვათ და მხოლოდ ერთი ფარდული დაუტოვეს. იაკობ ბეგიშვილი საფიჩხიის საგვარეულო სასაფლაოზეა დაკრძალული, ხოლო მისი დაარსებული „პასაჟი“ დღემდე ინარჩუნებს სავაჭრო ფუნქციას და ქუთაისელებს ძველი ევროპული სტილის ხილვის შესაძლებლობას აძლევს.

პეტრე ოცხელი - ქართული სცენოგრაფიის შემოქმედი

ქუთაისის თეატრალურ ცხოვრებაში ერთ-ერთი გამორჩეული სახე იყო პეტრე ოცხელი, რომელმაც ქალაქში თანამედროვე სცენოგრაფიის წარუშლელი კვალი დატოვა. იგი ქუთაისში 1907 წელს კათოლიკეთა ოჯახში დაიბადა. შვიდი წლის იყო, როცა ოჯახი მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად. ბავშვობაში პეტრე დედასთან და ძმასთან ერთად ხშირად დადიოდა თეატრში. 1920 წელს ოცხელები საქართველოში დაბრუნდნენ და თბილისში დასახლდნენ, თუმცა, მატერიალური ვითარების გამო, მამამ გადაწყვიტა ოჯახი კვლავ ქუთაისში გადაეყვანა.

პეტრე ქუთაისის რეალურ სასწავლებელში, ასევე პატარა სახელოსნო-სტუდიაში და თბილისის სამხატვრო აკადემიაშიც სწავლობდა.

პეტრეს შემოქმედება მალევე შენიშნეს. კოტე მარჯანიშვილმა იგი ქუთაისის დრამატულ თეატრში სამუშაოდ მიიწვია, სადაც ოცხელმა რამდენიმე მნიშვნელოვანი სპექტაკლისთვის ესკიზები შექმნა: „ოტელო“, „ბეატრიჩე ჩენჩი“, „სპარტაკი“ და სხვა. მისი ესკიზები გამოირჩეოდა განსაკუთრებული ხედვით, სილუეტების დინამიკურობით და სცენის სივრცის ახლებური აღქმით. თითოეული ნამუშევარი არა მხოლოდ დეკორაციის, არამედ სპექტაკლის ატმოსფეროს სრულყოფილი ნაწილი იყო, რაც ქართულ თეატრს ახალ, მოდერნულ სახეს აძლევდა.

1939 წელს ლონდონში თეატრის მხატვართა გამოფენაზე ოცხელის ესკიზები ოქროს დიდი მედლით დააჯილდოვეს. ოცხელმა მხოლოდ ცხრა სეზონი იმუშავა თეატრში. მისმა ნამუშევრებმა მნიშვნელოვნად განსაზღვრა ქართული თეატრის ვიზუალური ენა. მისი შემოქმედება მტკიცე სიუჟეტით, ქართული კულტურისთვის დამახასიათებელი ხედვითა და ახალი თეატრალური ფორმებით გამოირჩეოდა. 1937 წელს პეტრე ოცხელი ხანმოკლე, მაგრამ ბრწყინვალე კარიერის შემდეგ პოლიტიკურ მოტივებზე დაყრდნობით დახვრიტეს. მისი ესკიზები და სცენოგრაფია დღემდე რჩება ქართული თეატრის ოქროს ფონდში, როგორც ინოვაციის, ნიჭისა და მხატვრული დამოუკიდებლობის დასტური.



დიმიტრი ნაზარიშვილი -
საზოგადო მოღვაწე და სამედიცინო საზოგადოების ფუძემდებელი

კათოლიკე დიმიტრი ნაზარიშვილის ინიციატივით, 1890 წელს ქუთაისში შეიქმნა პირველი საექიმო-სამეცნიერო საზოგადოება, რომელიც ქალაქსა და დასავლეთ საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის კუთხით მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. მან ამის გაკეთება მოახერხა მაშინ, როცა სხვადასხვა სახის ინფექციური დაავადებები ადვილად ვრცელდებოდა, ხოლო მოსახლეობა მკურნალობის შესაძლებლობას მოკლებული იყო. ნაზარიშვილის ძალისხმევით ქუთაისში გაიხსნა პირველი საავადმყოფო და უფასო სამკურნალო დაწესებულება, სადაც 25 წელი ემსახურა ქალაქის ღარიბ მოსახლეობას. მან დიდი როლი შეასრულა ქუთაისში სანიტარული წესრიგის დამყარებაში, ინფექციური დაავადებების კონტროლსა და მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში.

დიმიტრი ნაზარიშვილი ჩართული იყო წყალტუბოს სამკურნალო წყლების შესწავლასა და კურორტის განვითარებაში, რაც მომავალში ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი სამედიცინო რესურსი გახდა.მან არა მხოლოდ სამედიცინო ინფრასტრუქტურა, არამედ შექმნა სისტემა, რომელიც ქალაქის და რეგიონის მოსახლეობას სრულყოფილი სამედიცინო სერვისით უზრუნველყოფდა, განსაკუთრებით, ღარიბ ფენებს.

ქუთაისელი პოლონელები

ქუთაისის კათოლიკური უბანი მხოლოდ ფრანგ მისიონერებს არ უკავშირდება. აქ შემორჩენილია პოლონური კვალი. XIX საუკუნეში ბევრი პოლონელი ცხოვრობდა კავკასიაში. ნაწილი აქ გადასახლების ან სამხედრო სამსახურში ჩართულობის გამო მოხვდა, ნაწილი კი იმ სპეციალობის ადამიანებს მიეკუთვნებოდნენ, რომლებიც იმპერიას სჭირდებოდა - არქი-ტექტორი, ინჟინერი, მასწავლებელი. კათოლიკური უბანი მათთვის ბუნებრივ თავშეყრის ადგილად იქცა. აქ იყო ეკლესია, თემი და ევროპული გარემო.

პოლონელებმა ქუთაისის კათოლიკურ უბანს შემატეს განათლებისა და ტექნიკური ცოდნის ევროპული სტანდარტი, არქიტექტურა, რომელიც განსხვავდებოდა როგორც ქართულ ტრადიციული, ისე რუსულ ოფიციალური სტილისგან. ასევე, გაამდიდრეს კულტურული მრავალფეროვნებით, რომელმაც უბანს განსაკუთრებული ხასიათი მისცა.

ქუთაისის კათოლიკური თემი მხოლოდ რელიგიური ჯგუფი არ ყოფილა — ეს იყო მხატვრების, მუსიკოსების, არქიტექტორებისა და მეწარმეების, პოლიტიკოსების წრე, რომელმაც ქალაქის ევროპული სახე ჩამოაყალიბა.

ვლადისლავ რაჩკევიჩი

როცა პოლონელებზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა ვახსენოთ ვლადისლავ რაჩკევიჩი, რომელიც იყო პოლონელი სახელმწიფო მოღვაწე, მოგვიანებით კი გახდა პოლონეთის პრეზიდენტი ემიგრაციაში (1939–1947).

ვლადისლავ რაჩკევიჩი 1885 წლის 28 იანვარს ქუთაისში დაიბადა, იმ დროისთვის რუსეთის იმპერიის ფარგლებში. მისი მამა იოზეფ რაჩკევიჩი ქალაქში მოსამართლედ მსახურობდა.

რაჩკევიჩი 1947 წლის 6 ივნისს გარდაიცვალა უელსის ქალაქ რუთინში (Ruthin), დიდ ბრიტანეთში. თავდაპირველად ის დაკრძალეს ნოტინგჰემშირის პოლონური ავიაციის სასაფლაოზე, ინგლისში, 2022 წელს კი ვარშავაში გადაასვენეს.

სტანისლავ ჰორნო პაპლავსკი

სტანისლავ პაპლავსკი პოლონელი წარმოშობის მოქანდაკე იყო, რომელიც ქუთაისში 1902 წელს დაიბადა. იმ პერიოდში ქალაქი კავკასიაში პოლონური ინტელიგენციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა. მისი ოჯახი ქუთაისის კათოლიკურ პოლონურ თემს ეკუთვნოდა და აქტიურად იყო ჩართული ქალაქის კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სწორედ ამ მრავალეთნიკურ გარემოში მიიღო პაპლავსკიმ პირველი შთაბეჭდილებები ხელოვნებაზე - ქალაქში, სადაც ევროპული და ქართული კულტურა ერთმანეთთან ბუნებრივად იკვეთებოდა.

პაპლავსკების სახლი ბალახვანში იდგა, მაგრამ სამწუხაროდ, მრავალსართულიანი ბინის მშენებლობას შეეწირა.

მოქანდაკე ღრმად მოხუცებულ ასაკში, 1997 წელს პოლონეთში გარდაიცვალა. მისი შემოქმედება სხვადასხვა პრემიითა თუ ჯილდოთი იყო აღიარებული. მას გადაეცა ოქროს ჯვარი კულტურისა და ხელოვნების სამსახურისთვის, პოლონეთის მმართველობის სახელმწიფო პრემია, II Florence Biennale of Contemporary Art ის ოქროს მედალი და სხვა. პაპლავისკის საქმიანობა ქანდაკების მოდერნისტული ხელოვნების გზაზე არა მხოლოდ პოლონეთში, არამედ საერთაშორისო სცენაზე იყო წარმატებული და აღიარებული.

გიორგი ზდანოვიჩი

გიორგი ზდანოვიჩი წარმოშობით იყო პოლონელი. იგი პოლონელთა იმ თაობას ეკუთვნოდა, რომელიც რუსეთის იმპერიაში მიმდინარე მოვლენების შედეგად აღმოჩნდა კავკასიაში.

მე-19 საუკუნეში, პოლონეთში დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის, განსაკუთრებით აჯანყებების შემდეგ, ბევრი პოლონელი ინტელიგენტი გადაასახლეს რუსეთის იმპერიის სხვადასხვა რეგიონში. გიორგი ზდანოვიჩიც სწორედ ამ პროცესების შედეგად მოხვდა სამხრეთ კავკასიაში და საბოლოოდ დასახლდა ქუთაისში.

ქუთაისში იგი სწრაფად ჩაერთო საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ საქმიანობაში, გახდა ქალაქის ინტელიგენციის ნაწილი და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მისი კულტურული და ინტელექტუალური ცხოვრების განვითარებაში.

იგი იყო ერთ-ერთი იმ ფიგურათა განი, ვინც საფუძველი ჩაუყარა ქუთაისის საგანმანათლებლო და კულტურული გარემოს განვითარებას.

ცნობილია, რომ მისი ნაშრომები ძირითადად იყო სტატიები, წერილები და პუბლიცისტური ტექსტები, რომლებიც სრულად არ არის შემონახული ან სისტემატიზებული.

დიდია ზდანოვიჩის ღვაწლი ჭიათურის აღმშენებლობის პროცესში. იგი იყო მანგანუმის ყრილობის ხელმძღვანელი. აქტიურად იყო ჩართული ქვეყნის დამოუკიდებლობის ბრძოლაში.

სომხები ქუთაისში

ქუთაისი საუკუნეების განმავლობაში მრავალ კულტურასა და ტრადიციას იტევდა. ამ მრავალფეროვან სივრცეში სომხურმა თემმა განსაკუთრებული კვალი დატოვა და ქალაქის ცხოვრებას საკუთარი ელფერი შესძინა.

ძველი ქუთაისის ბაზრობებზე სომეხი ვაჭრების ხმა და ხელოსანთა შეძახილები ისმოდა. მათი შრომა და საქმისადმი ერთგულება ქალაქის ეკონომიკურ ძალას ამაგრებდა, ხოლო სავაჭრო ურთიერთობები ქუთაისს დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ცენტრად აქცევდა.

სომხურმა საზოგადოებამ აქ შექმნა სულიერი და საგანმანათლებლო კერები - ეკლესია და სკოლა, სადაც ინახავდნენ ენასა და ტრადიციებს. თუმცა, მათი ცხოვრება მხოლოდ საკუთარ თემში არ იკეტებოდა - ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ ქალაქის კულტურულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში, აძლიერებდნენ ურთიერთპატივისცემასა და თანამშრომლობას.

მათი აშენებული სახლები, სავაჭრო რიგები და რელიგიური ნაგებობები დღემდე ამდიდრებს ქუთაისის ისტორიულ იერსახეს.

სომხები ქუთაისის მრავალფეროვანი ისტორიის განუყოფელი ნაწილი იყვნენ. ადამიანები, რომლებმაც შრომით, კულტურითა და თანაცხოვრების გამოცდილებით ქალაქის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს და მის მეხსიერებაში ღირსეული ადგილი დაიმკვიდრეს.

ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება, ვინც ქუთაისში მოღვაწეობდა, იყო სომეხი დეკანოზი ტერ-დავით იარალიანცი. ცხინვალის მღვდლის ოჯახში დაბადებულმა, განათლება მიიღო ტფილისის ნერსესიანის სემინარიაში და სასულიერო საქმიანობა გორში დაიწყო. მისი ცოდნა, ენერგია და ორგანიზატორული ნიჭი მალე შეამჩნიეს და ქუთაისში მოიწვიეს, სადაც სომეხთა სამრევლო ეკლესია ჩააბარეს .

ტერ-დავითის მოღვაწეობით გამშვენიერდა ქუთაისის სომეხთა წმინდა გიორგის ეკლესია და გაძლიერდა საეკლესიო ცხოვრება. მან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო განათლებას. მისი ძალისხმევით ეკლესიის გალავანში დაარსდა სკოლა, მოგვიანებით კი აშენდა ახალი სასკოლო შენობა. სწორედ ამით მიეცა სომეხ ახალგაზრდობას შესაძლებლობა ესწავლათ მშობლიური ენა და შეენარჩუნებინათ ეროვნული იდენტობა.

ტერ-დავითი აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი სამჯერ აირჩიეს ქუთაისის ქალაქის საბჭოს წევრად. იგი მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ციხის კომიტეტს და ზრუნავდა პატიმართა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. მონაწილეობდა საქველმოქმედო საქმიანობაში და გულით ეხმარებოდა გაჭირვებულ ოჯახებს. იგი ქადაგებდა სომხურად, ქართულად და რუსულად, თანამშრომლობდა ქართულ და სომხურ პრესასთან და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში.

გაზეთი ივერიის პუბლიკაციიდან ვგებულობთ, რომ ტერ-დავით იარალიანცი აქტიურად მონაწილეობდა ქუთაისში ღარიბი ოჯახებიდან გამოსული გოგონებისთვის სასწავლებლის გახსნაში, სადაც ისინი განათლების მიღებას უფასოდ შეძლებდნენ.

№ 71 1877—1898 № 71

ქუთაისი, 2 აპრილი, 1898 წ.

ივერია

ნიკოლოთოზის ქუჩა, 21.

ფასი განცხადებისა:

ტერ-დავით იარალიანცი ქუთაისის ისტორიის მნიშვნელოვანი ფიგურაა - სულიერი მამა და საზოგადო მოღვაწე, რომელმაც თავისი ცხოვრება ხალხის, განათლებისა და ეკლესიის სამსახურს მიუძღვნა. მისი გარდაცვალების შესახებ გაზეთმა „ივერიამ“ ვრცელი ნეკროლოგი გამოაქვეყნა.



ივერია

† დეკანოზი ტერ-დავით იარა-
ლიანცი.

(ნეკროლოგი)

24 სექტემბერს გარდიცვალა ქ. ქუთაისში ეკლესიის ცნობილი და ვიტეგეშელი სიმპატიური ტერ-დავითი ...

ქალაქის მრავალფეროვანი არქიტექტურული სტილი

მრავალი კულტურის გადაკვეთამ თავისი გავლენა იქონია ქალაქის არქიტექტურაზე თუ ცხოვრების წესზე. ევროპული არქიტექტურა და კულტურული ტენდენციები ქალაქში ძირითადად XIX საუკუნეში შემოდიოდა, როდესაც ქუთაისი ადმინისტრაციული და სავაჭრო ცენტრი გახდა. რუსული იმპერიის გავლენით დაგეგმილი სახელმწიფო პროექტები და ქალაქის დაგეგმარება ევროპული სტანდარტებით ხდებოდა: მშენებლობებში შთამბეჭდავი ფასადები, სვეტები, თაღოვანი კარიბჭეები, ღია სარეკრეაციო სივრცეები. ამ ყველაფერმა ახალი იერსახე შესძინა ქალაქს.

ამავე დროს, ქუთაისში მცხოვრობი სხვადასხვა ეროვნების ადამიანები - სომხები, ებრაელები, ბერძნები, რუსები და მცირე რაოდენობით სხვა ხალხები, მათ შორის, კათოლიკე სლავური ჯგუფები, არა მხოლოდ ვაჭრობასა და ბიზნესში იყვნენ ჩართული, არამედ კულტურულ და სოციალურ ცხოვრებაზეც ახდენდნენ გავლენას - ქმდიდნენ სკოლებს, კლუბებს, რელიგიურ ცენტრებს და ამკვიდრებდნენ ცხოვრების ახლებურ წესებს.

ეს თანაცხოვრება, ევროპულ გავლენებთან ერთად, ქუთაისის ქალაქურ კულტურას უნიკალურ იერსახეს ანიჭებდა. ქალაქის ქუჩებში, ბაზრებში და სარეკრეაციო ზონებში თანაცხოვრობდა ქართული ტრადიციული სილამაზე და ევროპული ურბანული ელეგანტურობა, ხოლო ეთნიკური მრავალფეროვნება ყოველდღიურობაში ცოცხლად ასახავდა სოციალურ ურთიერთობებს, ტრადიციებს და კულტურულ შერევას. სწორედ ეს ჰარმონია ქმნიდა ქუთაისის იმ მრავალსაუკუნოვან ფერად და მრავალშრიან ცხოვრებას, რომელიც დღემდე ჩანს ქალაქის ისტორიულ უბნებსა და არქიტექტურაში.

მართალია, მე 19 საუკუნეში ქუთაისში უფრო მცირე რაოდენობით მუშაობდნენ უცხოელი არქიტექტორები, ვიდრე თბილისში, მაგრამ ევროპული სტილისა და დაგეგმარების გარკვეული გავლენა მაინც იგრძნობა. უკვე იმდროიდანვე ქალაქში შენდებოდა ნაგებობები, რომლებიც ევროპული და ქართული ელემენტებით გამოირჩეოდა.

ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მაგალითია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს შენობა, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში აშენდა და ბაროკოსა და სხვა ევროპული სტილის ნაზავია. ეს პროექტი დაკავშირებულია პოლონელ არქიტექტორთან ალექსანდერ შიმკევიჩთან.

გარდა ამისა, მე 19 საუკუნის მეორე ნახევარში ქალაქში აშენებული იყო სხვა საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობები, რომლებშიც ევროპული სტილი (მოდერნის, კლასიციზმის ეპიზოდური ნიშნები) ფიგურირებდა და ცვლიდა ქალაქის ურბანულ იერსახეს. ეს სახეცვლილება განსაკუთრებით ისტორიულ ცენტრში შეიმჩნეოდა.

ამავე პერიოდში ქუთაისის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და კულტურაში აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა ეროვნების პროფესიონალები (სომეხი, ებრაელი, ევროპული წარმომავლობის ინტელექტუალები და ვაჭრები), რომელთა ყოფაც ქალაქში ევროპული წეს ჩვეულებებისა და მატერიალური კულტურის ელემენტების გავრცელებას უწყობდა ხელს.

ფალიაშვილის ქუჩაზე, რომელიც ადრე მაღალი საზოგადოების თავშეყრის ადგილი იყო, მრავალი საინტერესო ნაგებობა დგას, მაგრამ გამორჩეულია შენობა, რომელიც ინჟინერ ფრიკეს პროექტის მიხედვით 1915-16 წლებში აშენდა და ვაჭარ მიხეილ მოშიაშვილის საკუთრებას წარმოადგენდა. სახლის პირველ სართულზე ფარდული ყოფილა განთავსებული, ხოლო მეორე სართული ვოლგა-კამის კომერციულ ბანკს ეკავა. მოდერნის სტილში აგებულ შენობის ფასადის დინამიურობას ხაზს გრანდიოზული გუმბათი უსვამს.

ფალიაშვილის და ცისფერყანწელთა ქუჩის კვეთაზე არსებულ ორსართულიან შენობაში, რომელიც მე-19 საუკუნის 80-იან წლებშია აგებული, ადრე ქალაში ერთ-ერთი პოპულარული სასტუმრო „ლონდონი“ ყოფილა განთავსებული. მისი მეპატრონეები ქუთაისის მკვიდრნი ელიგულაშვილი და გველესიანი ყოფილან. შენობა ევროპული არქიტექტურის გავლენითაა აგებული და უხვადაა გაფორმებული სხვადასხვა სახის ორნამენტებით.

იაკობ ბეგოვს ეკუთვნოდა სახლი ფალიაშვილის ქუჩაზე. იგი ინჟინერ რიადანსკის პროექტით 1882 წელს აუშენებიათ. დარაბებიანი პირველი სართული სავაჭრო ობიექტებს ეკავა, ხოლო მეორე სართული საცხოვრებლად გამოიყენებოდა. სხვადასხვა არქიტექტურული დეტალებით დატვირთულ შენობაზე განსაკუთრებით თვალშისაცემია ფრონტონი, რომელიც კლასიკური არქიტექტურული ელემენტებითაა შემკული.

ტიციან ტაბიძის ქუჩაზე არსებული სახლი განსაკუთრებული არქიტექტურული ფორმებით გამოირჩევა. იგი 1905 წელს არქიტექტორ ლუკაშევის პროექტით ექიმ გიორგი ქორქაშვილს აუგია. თეთრი ეკლარით მოპირკეთებული შენობა ევროპული ნეორომანტიზმის გამოძახილია. ორსართულიანი სახლის მთავარი ნაწილი მარჯვენა მხარეს არსებული ქონგურიანი კოშკურაა.

1895-96 წლებშია აგებული შენობა, რომელიც თამარ მეფის ქუჩაზე დგას და თავისი მასშტაბურობით გამოირჩევა. იგი თბილისელ მოქალაქეს ნინა ტრიგონოვა-სვიმონიშვილს ეკუთვნოდა. დღევანდელი სახე ნაგებობამ 1916-17 წლებში მიიღო, როცა იგი ინჟინერ ფრიკეს პროექტით ქუთაისის მიხეილის სახელობის საადგილმამულო ბანკისთვის გადააკეთეს. გასაბჭოების შემდეგ შენობა ფოსტა-ტელეგრაფმა დაიკავა.

რუსთაველის ქუჩაზე ორსართულიანი შენობა იტალიის მოქალაქე ნიკოლოზ ბროკის საკუთრება იყო. სახლი 1882 წელს არქიტექტორ ტრეიერის პროექტის მიხედვით აიგო. მისი ფასადი რელიეფური, რენესანსულ-კლასიცისტური ელემენტებითაა დატვირთული. ჯუზეპე გარიბალდის პორტრეტთან გაიგივებული მამაკაცის თავები ევროპულ საფასადო ქანდაკების ტრადიციას უნდა უკავშირდებოდეს.

კაკაბაძის სახელობის სახვითი ხელოვნების გალერიის შენობა 1900 წელს უნდა იყოს აგებული. თავდაპირველად აქ სასტუმრო „ფრანცია“ ფუნქციონირებდა. 1976 წლიდან იგი საგამოფენო სივრცედ გადაკეთდა.

აღმაშენებლის მოედანსა და თამარ მეფის ქუჩის კუთხეში აღმართული სახლი 1910 წელს ინჟინერ ფრიკეს პროექტით აუგიათ. იგი შელესილ ნაგებობათაგან ერთ-ერთი პირველია, რომელიც ამ დროს შეიქმნა.

მე-19 საუკუნის ბოლოსაა აგებული სახლი, რომელიც ვიტუშინსკის აფთიაქის სახელითაა ცნობილი. შენობა თეთრი და ვარდისფერი ეკლარის ქვითაა მოპირკეთებული. დიდი ფორმის დეკორატიული ელემენტები მის ბაროკულ ხასიათს ნათლად წარმოაჩენს. შენობის პირველი სართული დღესაც პირველადი დანიშნულებით გამოიყენება.

ქუთაისის საგუბერნიო ციხე
ცარიზმის და საბჭოთა რეპრესიების ადგილი



“გუბერნსკის ციხეს”, რომელიც ქუთაისში ტაბიძის ქუჩაზე მდებარეობდა, ბევრი საინტერესო ისტორია უკავშირდება. ციხის ორსართულიანი შენობა მე-19 საუკუნეში აშენდა.

თავდაპირველად შენობა სხვა დანიშნულების იყო. ზუსტი თარიღი, როდის გახდა ის სასჯელაღსრულების დაწესებულება, უცნობია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ შენობაში ციხემ ფუნქციონირება მე-20 საუკუნიდან დაიწყო.

ციხეში სასჯელს 1903 წელს იოსებ სტალინიც იხდიდა. სტალინი #309-ე საკანში იჯდა. მოგვიანებით იგი ბათუმში გადაიყვანეს. აღნიშნულ შენობაში იყვნენ გამოკეტილნი ლეო ქიაჩელი, მიხა ცხაკაია და სხვა პოლიტიკური მოღვაწეები.

ქუთაისის ციხეში, ძირითადად, დიდი აჯანყების მოთავეები გადაჰყავდათ. თუმცა, იქ ფირალები, ყაჩაღები, რევოლუციონერი და კრიმინალური ავტორიტეტებიც შეგხვდებოდათ.

ყოფილი ციხის კედლებზე მრავლად იყო შემორჩენილი პატიმრების მიერ შესრულებული ნახატები , რომლებიც აქ არსებულ სიტუაციას და იერარქიულ გარემოს კარგად გადმოსცემდა. “გუბერნსკის ციხიდან” მსჯავრდებულის გაქცევის ფაქტიც მომხდარა.

დასკვნა

დასკვნისთვის შეიძლება ითქვას, რომ ქუთაისი საუკუნეების განმავლობაში იყო კულტურათა, რელიგიებისა და ხალხების შეხვედრის ადგილი. მისი ისტორია მხოლოდ ერთი ეთნოსის ან სარწმუნოების ამბავი არ არის. ქალაქი ჩამოყალიბდა როგორც ღია და ტოლერანტული სივრცე, სადაც ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდნენ ქართველები, ებრაელები, სომხები, რუსები, პოლონელები, ბერძნები და სხვა თემები.

ქუთაისის მრავალეთნიკურმა გარემომ ჩამოაყალიბა ქალაქის ევროპული იერი. ხელი შეუწყო განათლების, თეატრის, მუსიკის, მხატვრობისა და ვაჭრობის განვითარებას. სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები ერთად ქმნიდნენ ქალაქის ეკონომიკას, არქიტექტურას და ინტელექტუალურ ცხოვრებას. სწორედ ეს მრავალფეროვნება ხდის ქუთაისს უნიკალურ ქალაქად - ადგილად, სადაც განსხვავებულმა ხალხებმა საერთო ისტორია და იდენტობა შექმნეს.